№8 (7021) 20 მაისი, სამშაბათი,
2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ჰავაის ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი ხობში ჩამოაბრძანეს!

2006 წლის ოქტომბერში, ჰავაის კუნძულებზე მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში ვარდის საოცარი სურნელება იგრძნეს. მიყვნენ სურნელებას და წიგნის თაროზე, სულ მაღლა, აღმოაჩინეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ფოტოასლი, რომელსაც იქაურობა მირონით დაესვენებინა. ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი მონრეალის მირონმდინარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ფოტოპირია, რომელიც მისი მცველის, იოსებ მუნიოს კორტეესის სასტიკი რიტუალური მკვლელობის შემდეგ უკვალოდ გაქრა. ისიც სწორედ ასე, თავის მცველთან ერთად მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში და განსაცდელში მყოფთ ნუგეშად ევლინებოდა. ხატმა უამრავი სასწაული აღასრულა: ბრმებს თვალისჩინი დაუბრუნა, მრავალი სნეული განკურნა, მათ შორის, სიმსივნით დაავადებულნიც... ნექტარიოსმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ფოტოასლი მართლმადიდებლურ ტაძარში წააბრძანა და მამა ანატოლის გადასცა. მოძღვარმა პარაკლისი გადაიხადა, რომლის დროსაც კიდევ უფრო გაძლიერდა მირონდენა. ნექტარიოსმა და მისმა ოჯახის წევრებმა, რომელთაც შიში და კრძალვა მორეოდათ, გადაწყვიტეს, ეს ხატი ეკლესიისათვის მიენდოთ და იგი სან-ფრანცისკოს საეპისკოპოსო ტაძარში მთავარეპისკოპოსს დაუტოვეს. მაგრამ 6 თვის შემდეგ მისგან შემდეგი შინაარსის შეტყობინება მიიღეს: წმინდა სინოდის განჩინებით, ხატი მათთან უნდა დაბრუნებულიყო, ნექტარიოსი მისი მცველი უნდა გამხდარიყო და ხატს მთელი მსოფლიო უნდა მოევლო.



ასეც მოხდა: ხატმა მოიარა უამრავი ქვეყანა... და 6 მაისს, საქართველოშიც იქნება ჩამობრძანება. დიახ, ინება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი თვითონ წყვეტს, სად უნდა წავიდეს. ამიტომაც ზუსტი განრიგის შედგენა ჭირს. უკვე ბრძანდებოდა ქაშუეთში, სვეტიცხოველში, ალავერდში, ბოდბეში... ხატმა ასევე მოიარა საქართველოს ეპარქიები.

ხობის მონასტერში ლოცვა გაძლიერდა, რათა დედას ღვთისას ენებებინა ტაძარში მობრძანება და 18 მაისს ჰავაისად წოდებული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატმა ისურვა ტაძარში დაბრძანება და ამით მორწმუნე მრევლი დიდ მადლს აზიარა. რამოდენიმე საათში კეთილსურნელებით აღსავსე მირონმდინარე ხატი ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში გადააბრძანეს.

ხატი საქართველოში 23 მაისამდე დარჩება და კვლავ ჰავაის კუნძულებს დაუბრუნდება...

კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ჩატარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატების (გამგებლისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა) წარდგენა. სტუმრად ჩამობრძანდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები ბატონები გიგა ბუკია, პაატა ბარათაშვილი და გაიოზ მონიავა.

ღონისძიება გახსნა ხობის კულტურის სახლის მთავარმა სპეციალისტმა ქ-ნ მარინა ჯღარკავამ, ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ გიგა ბუკიას, რომელმაც კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებულ საქმეებზე და მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ისაუბრა. ბატონმა გიგა ბუკიამ ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამგებლის კანდიდატად ბატონი გოჩა ქაჯაია წარუდგინა და დაახასიათა უამრავი დადებითი თვისებების მქონე პიროვნებად და ღირსეულ ადამიანად.

ბატონმა გოჩა ქაჯაიამ თავის გამოსვლაში ისაუბრა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საარჩევნო პროგრამა და პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტები. საზოგადოებას მოუწოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ და წარადგინა კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლების მიხედვით: ლევან ქავთარაძე (ქ. ხობი), გოჩა სიჭინავა (ნოჯიხევი), მერაბ ნადარაია (საჯიჯაო), ფრიდონ შონია (ბია), გენად ზარანდია (ახალი ხიბულა), გენადი ქაძანაია (ძველი ხიბულა), მამუკა ქარდავა (ახალი სოფელი), ლაშა გვასალია (გურიფული), თამაზ შელია (პირველი ხორგა), ედიშერ ჯობავა (შუა ხორგა), რომანოზ ცხადაია (ქარიატა), შოთა სირაძე (ყულევი), მზია ლემონჯარია (თორსადღვაბა), მალხაზ ლაგვილავა (პირველი მაისი), ია გელოვანი (ზეთა), მაკა ჩარტია (ხამისქური), თენგიზ აბაკელია (ზემო ქვალონი), ტარიელ ალექსანდრია (ქვემო ქვალონი), იგორ გოგოლაძე (საგვიჩიო), ალექსანდრე ნაჭყებია (ჭალადიდი), ლეონიდე ლოლუა (პატარა ფოთი-შავღელე).

კანდიდატების წარდგენის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი პაატა ბარათაშვილი, რომელმაც არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და ამომრჩევლებს აქტიურობისკენ და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

შეხვედრა დაასრულა პედაგოგმა ბატონმა ალექსანდრე არჩაიამ, რომელმაც კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსახლეობას „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატის ბატონი გოჩა ქაჯაიას გამოსვლის ტექსტი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო.

პირველ რიგში, მსურს მოგილოცოთ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა. საზოგადოებას ეძლევა საშუალება საკრებულოსთან ერთად პირველად აირჩიოს პირდაპირი წესით მუნიციპალიტეტების გამგებლები და თვითმმართველი ქალაქების მერები.

ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო კოალიციას ამ პროცესში ნდობის გამოცხადებისთვის და ჩემის მხრივ, სრული პასუხისმგებლობით გამოვთქვამ მზადყოფნას მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობისთვის დაუღალავი შრომით გავამართლო ნდობა, რაც საზოგადოების მხრიდანაც აშკარაა.

მეგობრებო! უკვე უხვად გვაქვს სათქმელი თქვენთვის!

2012 წელს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით და მთელი საზოგადოების ერთად დგომით დავიბრუნეთ უფლებები და ღირსება. ჩვენ, მრავალი წლის შემდეგ, არჩევნების გზით შევცვალეთ ხელისუფლება, დავასრულეთ უსამართლობა და ძალადობა! ადამიანი სახელმწიფოსთვის მთავარი ღირებულება გახდა. ჩვენმა კოალიციამ მთავრობაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა მოქალაქეებისთვის პირველი რიგის პრობლემების მოგვარებაზე. ავადმყოფობა ჩვენთვის განაჩენი აღარ არის. მოქალაქეებმა, რომლებიც წლების განმავლობაში უიმედოდ ელოდნენ ყველაზე უარესს, სა-

➤➤➤➤➤➤➤➤➤➤➤➤ 2

მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატის ბატონი გოჩა ქაჯაიას გამოსვლის ტექსტი

1

მედიცინო დაზღვევის უპრეცედენტო რეფორმის შედეგად, თავი გადაირჩინეს. მუდმივი ჩვენი სატკივარი–დევნილები–ეტაპობრივად კმაყოფილდებიან საცხოვრებელი ბინებით და ეტაპობრივად იზრდება მათთვის გათვალისწინებული დახმარებები, რაც მიმდინარე პერიოდისთვის გაორმაგებულია; უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ სწავლას ვერ აგრძელებდა, რადგან ოჯახს სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეული ჩვენთვის, რეგიონების მოსახლეობისთვის იყო. ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ რეალურად შექმნა ვითარება, როდესაც განათლების მიღების ნებისმიერ მსურველს სახელმწიფო ამის ყველა შესაძლებლობას აძლევს: ბავშვებს სკოლაში უწიგნოდ სიარული აღარ უწევთ, ახალგაზრდები 17 ფაკულტეტზე უფასოდ იღებენ უმაღლეს განათლებას, დაფინანსდნენ მაგისტრანტები და დოქტორანტები. სოფლად აღარ არსებობს მიწის დამუშავების, მოსავლის აღებისა და დაბინავების შიში. „ქართულმა ოცნებამ“ გაათავისუფლა სასამართლო წნეხისგან, პოლიცია ჩადგა ხალხის სამსახურში, ადამიანები ღიად და უშიშრად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს, არავინ ატერორებს ბიზნესს, შეწყდა არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა საპატიმროებში.

ყოველივე ეს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია!

ჩვენმა ხელისუფლებამ რეგიონების განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის გაძლიერება და თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფოს შექმნა. სწორედ რეგიონის ეკონომიკური გაძლიერებისა და პოლიტიკურ-კულტურული განვითარებისთვის მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობა. აირჩიო– ნიშნავს აიღო პასუხისმგებლობა.

როგორც აღვნიშნე, წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნები უპრეცედენტოა საქართველოსთვის –ჩვენ პირდაპირი წესით ვირჩევთ 12 ქალაქის მერს, 59 გამგებელსა და აღგილობრივი საკრებულოების 1000-ზე მეტ საკრებულოს მაჟორიტარ წევრს. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თითოეულ მოქალაქეს მიეცემა საშუალება, თავად იზრუნოს საკუთარი ქალაქის, რაიონის თუ სოფლის განვითარებაზე. თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობით „ქართული ოცნება“ ასრულებს დანაპირებს–სახელმწიფო ადგილობრივ ხელისუფლებას ხალხის სამსახურში პრაქტიკულად აყენებს! ხელისუფლება რიგითი მოქალაქის გადმოსახედიდან უყურებს რეალობას და, შესაბამისად, იმსახურებს მოქალაქის ნდობას! კონკრეტული სოფლის, თემის, რაიონის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის პრობლემების მოგვარება ყველაზე უკეთ ადგილზე შეიძლება. წინა ხელსუფლების მიერ შეგნებულად დაწესებული საკანონმდებლო შეზღუდვების გამო ამის რეალური შესაძლებლობა დღემდე არ არსებობდა. „ქართული ოცნების“ ინიციატივით შეიცვალა ერთი ჯგუფის ინტერესებზე მორგებული რეალობა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ჩვენ საკუთარი კუთხის მართვას თავად შევძლებთ, თავად ვიქნებით ჩვენი მიწის განმკარგავები! აღსანიშნავია, რომ აქამდე საქართველო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის წევრი ქვეყნებიდან იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც მუნიციპალიტეტს საძოვრები საკუთრებაში არ ჰქონდა. დღეს ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა, რათა ადგილზე მოგვარდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა წყალმომარაგება, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა და სხვა. ჩვენ მოგვეცა ჩვენი რეგიონის განვითარების პროექტების დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის და მათი უშუალო განხორციელების შესაძლებლობა; ჩვენვე გადავწყვეტთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: თვითმმართველი ერთეულის შექმნა ან გაუქმება, ადმინისტრაციული ცენტრების დადგენა და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა. ხელისუფლებამ ჩვენ, არჩეული პირებისთვის უნდობლობის გამოცხადების საშუალებაც მოგვცა. თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის არანაკლებ 20%-ის ინიციატივით ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით, საკრებულოს წინაშე შეიძლება დავსვათ გამგებლის ან მერის უნდობლობის საკითხი. ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა, რათა საკუთარი მიწა-წყლის პატრონები თავად ვიყოთ, თავად დავგეგმოთ, რა, სად და რამდენი გვჭირდება, ავირჩიოთ–ვინ მოგვიგვარებს პრობლემებს, გავაკონტროლოთ–როგორ მუშაობს ჩვენი არჩეული მთავრობა! ეს ხელისუფლების მიერ ხალხისთვის მმართველობის ფაქტობრივი გადაცემაა! ავირჩევთ, ვმართავთ, ვაკონტროლებთ! ჩვენ დავუბრუნებთ სიცოცხლეს სოფელს! გავაძლიერებთ საშუალო ფენას! შევქმნით ადგილზე დასაქმების შესაძლებლობას!

მეგობრებო, ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი პრობლემაა და ეს ყველამ კარგად ვიცით.

ამ პრობლემებს უკვე თავად გადავწყვეტთ!

მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას სახელმწიფოს წინაშე და არანაკლები პასუხისმგებლობა, ვალდებულება და ძალისხმევა მართებს ადგილობრივ ხელისუფლებასაც, რათა ადგილობრივ დონეზე ეფექტურად, კომპეტენტურად და ოპერატიულად მოაგვაროს ისეთი სახის საკითხები, რომლებიც საზოგადოებისთვის პირველი რიგის ინტერესებს წარმოადგენენ.

ჩვენი გუნდი მზად არის მობილიზებულად შეხვდეს ნებისმიერ გამოწვევას!

დღეს დგება ეტაპი, როდესაც უკვე ადგილობრივ დონეზე, სრული მხარდაჭერით ავიღებთ პასუხისმგებლობას განახლებული რესურსებით უკეთესი მომავლის მშენებლობისთვის.

კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან უპრეცენდენტო მხარდაჭერა იქნა გამოხატული რეგიონების განვითარებისათვის– მხოლოდ 2013 წელს, მუნიციპალიტეტში 11 მილიონი ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. თითოეული მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ აღვნიშნავ ერთს–თითოეული სამუშაო მოსახლეობის მხრიდან გამოხატული ნებით და მათი მოთხოვნების საფუძველზე შეირჩა. თითოეულმა სოფელმა მიიღო სარგებელი გზების, ხიდების, წყალმომარაგების, სკოლების, ბაღებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების რეაბილიტაციით, ქალაქში კი მოწესრიგდა მრავალი ათწლეულის განმავლობაში

მორღვეული ინფრასტრუქტურა.

კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან როგორც ქვეყანაში, ასევე მუნიციპალიტეტში არნახული დაინტერესებაა ადგილობრივ დონეზე წარმოების ასაღორძინებლად და უახლოეს მომავალში მოსახლეობა თვალნათლივ დაინახავს მუდმივად მზარდ ინვესტირებას სხვადასხვა მიმართულებით.

ეს მხოლოდ დასაწყისია და ჩვენ ამით არ ვკმაყოფილდებით!

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ჩვენდამი გამოხატული მხარდაჭერის შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში იგრძნობს მათი კეთილდღეობისადმი გადადგმული ქმედითი ნაბიჯების შედეგებს.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა დასაქმება და უმუშევრობის დონის შემცირება.

ხელისუფლების მხრიდან ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება კერძო ინვესტიციების ხელშეწყობაა. ამ კუთხით უკვე სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული და უკვე თამამად შეიძლება გაცხადდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სიახლეები, რომელთაგან გამოვყოფ რამდენიმე მათგანს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზერბაიჯანულ-თურქული კომპანია განახორციელებს 7 მილიონი ლარის ინვესტიციას–7 ჰექტარ მიწის ფართობზე მოეწყობა უახლესი ტექნოლოგიების სათბური, სადაც 100-150 ადამიანი დასაქმდება.

არაერთი სასათბურე მეურნეობის შექმნაა დაგეგმილი ასევე, რისთვისაც ინვესტორების მხრიდან მიმდინარეობს ადგილების შერჩევა და მუნიციპალიტეტი სასათბურე პროდუქციის მნიშვნელოვანი მწარმოებელი გახდება–ამის ყველა პირობა არსებობს!

უკვე მიმდინარეობს და ივნისში დასრულდება თაბაშირ-მუყაოს ქარხნის მშენებლობა, სადაც 150-200 მუშა-ხელი დასაქმდება.

წელსვე იგეგმება თხილის ქარხნისა კივისა და სხვა სახის ხილის შემნახველი მაცივრების მშენებლობა.

დაგეგმილია უახლესი ტექნოლოგიების საკონსერვო ქარხნის მშენებლობა და საკონსერვო მრეწველობის აღორძინება. ასევე, ზეთის ქარხნის მშენებლობა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეესაძლებლობა ექნება რეალიზება გაუკეთოს მის მიერ მოწეულ მარცვლეულს და ხილს.

უახლოეს პერიოდში დაიწყება 2 მილიონიანი საინვესტიციო პროექტი–კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოებისთვის კომბინირებული საკვების წარმოება, საქონლის სადგომების, სასაკლაოს და წიწილების ინკუბატორების მშენებლობა, 100 ჰექტარზე მრავალწლიანი და ერთწლოვანი კულტურების გაშენება.

ეს ის პროექტებია, რომელთა განხორციელებას უკვე სტარტი აქვს აღებული და უახლოესი პერიოდისთვის ამუშავდება.

გარდა ჩამოთვლილისა, მრავლად არის შემოთავაზებები, რომელთა რეალიზებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად ადგილობრივი ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს და საზოგადოება დადებითი გადაწყვეტილებებისთანავე შეიტყობს სიახლეებს.

გარდა ინვესტორების დაინტერესებისა და მათი მხრიდან შემოსული არაერთი წინადადებისა, ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა უპრეცენდენტო პროექტის განხორციელებას და ყველა პირობა არსებობს და სახელმწიფო ხელისუფლებაც დაინტერესებულია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის ასაღორძინებლად– ხობი უახლოეს წლებში გახდება რეგიონის სპორტული ცენტრი აღდგენილი საცურაო კომპლექსით, კორტებით, სტადიონებით, დარბაზებით და ყველა სახის სპორტული ობიექტით, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში განადგურდა. ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ოლიმპიური რეზერვების სკოლა–მის მსგავსად შევქმნათ და დავაფუძნოთ ოლიმპიური მომზადების ცენტრი და ხობი გადავაქციოთ სპორტსმენთა აღზრდის ცენტრად. პროექტი სავარაუდო გათვლებით 6-7 მილიონი ლარის ღირებულებისაა და მრავალმხრივი სარგებლისა და დადებითი ეფექტების მომცემია. ამ მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა სპორტის განვითარების კონცეფცია–ჩვენ მის რეალიზებას ვიწყებთ!

შემუშავებულია და სახელმწიფო ხელისუფლებას მიეწოდა წინადადება ხობის მონასტრისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისთვის. იგეგმება 2-3 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლითაც ხობის მონასტერი იქცევა როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერად, ასევე მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ ობიექტად ტურისტული თვალსაზრისით.

დაგეგმილია ქალაქში წყალმომარაგების ქსელის სრული რეაბილიტაცია–სასმელი წყალი უპრობლემოდ და გრაფიკის გარეშე მიეწოდება ქალაქის ყველა ოჯახს.

გარდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარებისა, ჩვენ სახელმწიფოსთან ერთად მნიშვნელოვან აქცენტს გავაკეთებთ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მუდმივი ყურადღების თემად ვაქცევთ განათლებისა და კულტურის განვითარებას.

და ყველაზე მთავარი, ჩვენი მიზანი და მისწრაფებაა ადგილობრივი ხელისუფლება კიდევ უფრო დაუახლოვდეს ხალხს. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში მარტო არ არის და ხელისუფლება მის გვერდითაა. ჩვენ დავნერგავთ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტურ მექანიზმს. უზრუნველვყოფთ ასევე მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებაში და ყოველი გეგმა ჩვენ მიერ დასახული, მოსახლეობასთან შეთანხმებული იქნება და მათი მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში, განხორციელდება.

ჩვენ დღეს ვიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას და თითოეულ დასახლებაში შეხვედრებისას უფრო დეტალურად მივაწვდით ინფორმაციას ამომრჩეველს, თუ რა შევძელით ამ მოკლე პერიოდში და რა შეგვიძლია მათთან ერთად განვახორციელოთ.

უკვე აღვნიშნე, რომ ყველამ ვიცით მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემები:

ჩასატარებელია ხეთისა და თორსა-დღვაბის თემებში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსაგვარებელია მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხი; კაპიტალურადაა შესაკეთებელი ქალაქ ხობის №2 ბაგა-ბაღი, ასევე ყურადღებაა მისაქცევი ბაღებში აღსაზრდელთათვის თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული პირობების შესაქმნელად; მოსაწესრიგებელი და შესაკეთებელია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის - შუა ქვალონი-გიმოზგონჯილის მონაკვეთი; უკლებლივ ყველა დასახლებაში კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა და მიმზიდველი გარემოს შექმნასთან ერთად ყველა რესურსი ავამოქმედოთ და ხალხის სამსახურში გამოვიყენოთ.

ამ და სხვა პრობლემებს ჩვენ ერთად მოვაგვარებთ!

ერთად დავუბრუნებთ სიცოცხლეს სოფელს!

რეალური თვითმმართველობა– ადგილზე დასაქმებული მოქალაქეა! ამიტომ, ჩვენ ვიზრუნებთ მუნიციპალიტეტში ხილის გადამამუშავებელი საწარმოს ამუშავებაზე, რათა ჩვენს მოქალქეებს გაუჩნდეთ დამატებითი შემოსავალი; ჩვენ ვიზრუნებთ სპორტისა და კულტურის ხელშეწყობაზე, ახალგაზრდობის გაჯანსაღებასა და მათთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაზე!

ერთად შევუქმნათ ჩვენს შვილებს განვითარების პირობები!

ერთად ვიზრუნოთ ხობზე!

ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!

დამეთანხმებით, სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ახალი დამატებითი უფლებამოსილებების გადმოცემით, უახლოესი პერიოდისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგება და საზოგადოებასთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს გადაწყვეტილებების მიღება და ამ გადაწყვეტილებების აღსასრულებლად ახლებურად მუშაობა.

ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის.

ჩვენ ამას თქვენთან ერთად შევძლებთ!

არჩევნების წინ

დღევანდელი ნომრის სტუმარია ბატონი ედიშერ წურწუმია–პოლიტიკური პარტიის „ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიციის“ ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

„ნუ ავყვეჯით ცდუნებას, მივიღოთ საერთაშორისო გადაწყვეტილება.“

როგორც ხობელს, როგორც პიროვნებას–ედიშერ წურწუმიას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გიცნობთ. როგორია თქვენი პოლიტიკური ბიოგრაფია დაწყებიდან დღემდე?

–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა თქვენი გაზეთის რედაქციაში დავიწყე. ვიყავი რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, პარტიის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე, 1995 წლიდან დღემდე ვარ „დროებით“ უმუშევარი.

მყავს მეუღლე ნარგიზა ტუღუში, რომელიც ხობის №2 საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტია, მყავს ორი შვილი და ორი შვილიშვილი...

მეამაყება, რომ ვარ ხობელი და ბევრ ღირსეულ ხობელთან ერთად სასიკეთო საქმეები გვიკეთებია, როდესაც კულტურის განყოფილების გამგე ვიყავი. ჩემი ინიციატივითა და რაიკომის პირველი მდივნის ნუგზარ ნადარაიას უდიდესი მხარდაჭერით, სოფელ ხეთაში დავაარსეთ შინმოუსვლელის სახლი, რომელიც ეზო-კარიანად უსასყიდლოდ გადმოგვცა სახლის მეპატრონემ, შინმოუსვლელ ამირან ლატარიას დედამ, სულმნათმა ლიზა ლატარიამ. ჩემი ინიციატივით დაწესდა საერთო-სახალხო ზეიმი „ცოტნეობა“ და „მოსავლის ზეიმი“. საყვედურების თქმა არ მიმაჩნია ვაუკაცობად, მაგრამ „ცოტნეობის“ ზეიმზე 1995 წლის შემდეგ არავის მოვუწვევივარ. სკოლაში გვასწავლიდნენ და წინაპრებისგანაც ვიცით, რომ უმადურობა ძალიან ცუდია...

ვიცით, რომ იყავით სკკპ-ს წევრი, იყავით თუ არა მოქალაქეთა კავშირის წევრი?

–ვიყავი კომუნისტური პარტიის წევრი, როგორც ძალიან ბევრი, ამჟამად „მოდისიდენტო“, „შეურიგებელი“ ანტიკომუნისტი, კომუნისტების მმართველობის პერიოდშია აშენებული ყველაფერი ქალაქ ხობში, ერთადერთი, რაც „თავისუფალი“ საქართველოს პერიოდში, ქალაქის შუაგულში აშენდა, საზოგადოებრივი ტუალეტის ძვირადღირებული შენობაა, რომლის გახსნა მიშამ ვერ მოასწრო.

დიდი ხანია ოპოზიციურ მოძრაობაში ხართ, რა მიზეზებმა განაპირობა იგი?

–ოპოზიციონერობა პროფესიად კი არ მაქვს, არა ვარ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციონერი, პირიქით, მივესალმები მის პოლიტიკაში მოსვლას. ერთ საღამოს, ერთად დავიძინეთ ჩვენ–ოპოზიციონერებმა და ჩვენმა ოპონენტებმა–„ნაციონალმა–მიშისტებმა“, მეორე დილას ჩვენ გავიღვიძეთ ისევ ოპოზიციონერებად, ხოლო მიშისტების უმრავლესობას „ქართული ოცნების“ რაიონული კომიტეტის წევრობაც კი „დაურტყამს“ და ამჯერად თვალის დახამხამებაში „ქართული ოცნების“ ოპოზიციონერებად გვაქციეს, ფეხმარდმა ყვარყვარეებმა, არადა 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე სხვებთან ერთად მეც სასიკვდილოდ რომ გამიმეტეს, ქირქილებდნენ, ახია, რა უნდოდაო, ხოლო ხობის ყოფილი მოსამართლე, რომელსაც ხობელებისთვის უკანონოდ საუკუნეზე მეტი აქვს მისჯილი, დღეს „ოცნების“ სახეა და დეპუტატობას აპირებს.

პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობთ, რამდენი წლის ისტორია აქვს ხობში, რამდენ წევრს აერთიანებთ, რა არის ის საერთო, რომელმაც გაგაერთიანათ?

–„დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიან საქართველოს“ ჰყავს შესანიშნავი თავმჯდომარე, კარგი მეოჯახე, მეუღლე, დედა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, გაწონასწორებული პოლიტიკოსი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. მისი თანამებრძოლები არიან „სახალხო კრების“ ლიდერები. ქართველთა ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი, ბრწყინვალე ქართველები ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე, თემურ შაშიაშვილი... 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენს პარტიას მონაწილეობა არ მიუღია, რათა ხელი არ შეგვეშალა „ქართული ოცნებისთვის“ და არჩევნებზე ყველანი მხარს ვუჭერდით „ოცნებას“, რადგან დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი... ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს. მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!.. თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მას მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვრებს“...

გვითხარით, თქვენს კოალიციურ გაერთიანებაზე. რომელ პარტიებთან ერთად შექმენით იგი, თქვენი დამოკიდებულება რუსეთისა და დასავლეთის მიმართ, როგორ აისახება იგი თქვენს პარტიულ საქმიანობაში?

–იმდენი მედროვე, გაიძვერა, ორგული და მართლმადიდებელი სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ამოტივტივდა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში, ამდენი მტერი საქართველოს თვით „დიდი თურქობის“ თემურ ლენგის 8 გზის შემოსევის, აღა-მაჰმად-ხანისა და შაჰ-აბასის დროსაც არ ჰყოლია, და ისეთი სახიფათოც არ ყოფილა, როგორც დღევანდელი მტერი, რომელიც საქართველოში მოვიდა დემოკრატიის, პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობის იდეალების პროპაგანდითა და გაურკვეველი წარმომავლობისა და იდეოლოგიის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციათა ეგიდით. ავიღოთ თუნდაც სკანდალური კანონი, რომელზეც ერთი ამბავია ატეხილი, ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველს–ქრისტიანულ სარწმუნოებას უპირებენ შებილწვას... ამჯერად, არა როგორც ოპოზიციონერი, არამედ, როგორც ისტორიკოსი, ქართველი პატრიოტი და მართლმადიდებელი ქრისტიანი, გულისტკივილით აღვნიშნავ, ერის მომავალი საფრთხეშია... სანდრო კარიძისა არ იყოს, „დათა თუთაშხიადან“–„ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა, ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს-სძოვოს! ჩვენი ერთადერთი ფუნქციაა, ვჭამოთ, ვსვათ, შვილები ვზარდოთ, ასეთმა ფუნქციამ ძველი ტრადიციული ზნეობა გადააგვარა და დღეს, თუკი ვინმეს, თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრივი სიყვარული აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია, სულიერ ღირებულებათა შორის, რანი ვართ?!–ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული გათითოკაცებული ყოფილი ერი...“

ეს საქართველოს XIX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის სურათი დახატა მწერალმა, ქალბატონო მანანა! თქვენ გიბრუნებთ კითხვას, ხომ არ ჰგავს დღევანდელი სიტუაცია, ზემოთაღწერილ მდგომარეობას?!

რაც შეეხება რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, უკრაინას, ყველამ ვიცით ქართული ანდაზა:–„მეზობელო კარისაო“... დიდი დავით აღმაშენებელი თბილისში, ქრისტიანულ ეკლესიებშიც, მუსულმანურ მეჩეთშიც, ებრაელთა სინაგოგაშიც, სომხურ ეკლესიაშიც დადიოდა და თან ლოცულობდა. აი, უდიდესი მეფისა და უდიდესი პოლიტიკოსის საქციელი... მაგრამ „ვახ, დრონი, დრონი...“

როგორ შეაფასებდით ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებს?

–ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები და „საყოველთაოდ“ არჩეული პრეზიდენტი, ბატონმა ბიძინამ, გაცრუებულ იმედებს შეადარა, რაშიც მას სრულად ვეთანხმები!

თუ თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში, საიდან და რით დაიწყებთ საქმიანობას, რა არის ჭეშმარიტი დემოკრატია, რა ღონისძიებების გატარება მიგაჩნიათ საჭიროდ მისი შემდგომი განვითარებისთვის?

–ჩვენს პარტიასა და ბლოკს (ნინო ბურჯანაძე–გაერთიანებული ოპოზიცია) ხობში გამგებლის კანდიდატად ჰყავს ღირსეულ კოლხთა შთამომავალი, მედიცინის დოქტორი, ექიმი-ქირურგი, გამოცდილი პრაქტიკოსი, საზღვარგარეთის ხუთწლიანი გამოცდილებით, იურიდიული განათლებით, უწესიერესი ოჯახის შვილი, რომელსაც დედაც, მეუღლეც, ძმაც მაღალკვალიფიციური ექიმები ჰყავს, ხოლო მამა ლადო პაჭკორია ცნობილი ინჟინერ-ტექნოლიგია, აკაკი (კახი) პაჭკორიას შევთავაზეთ კენჭი ეყარა გამგებლის თანამდებობაზე (ნინო ბურჯანაძის პარტიიდან), რაზეც თანხმობა განაცხადა.

საქართველოს დღეს ერთი გაწონასწორებული, თავდადებული, მართლმადიდებელი ქრისტიანი, პატრიოტი ვაუკაცი სჭირდება და თუ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი არსთგამრიგის მიერ მიცემულ შანსს გამოიყენებს და ქართველი ხალხის საერთო წინამძღოლის ფუნქციას იტვირთავს, საქართველოს ჰყავს შესანიშნავი სულიერი მოძღვარი, კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახით, ხოლო აკაკი (კახი) პაჭკორიას დარი რეგიონალური მებრძოლი რაინდების ერთობლიობა, სხვა ღირსეულ ქართველებთან ერთად, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი პირობაა...

ძვირფასო ხობელებო! ერთადერთხელ მივაფურთხოთ ეშმაკს, ნუ ავყვებით ცდუნებას, ნუ მივიღებთ პირადულ გადაწყვეტილებას, მივიღოთ გადაწყვეტილება სამომავლო, საშვილიშვილო და ხმა მივცეთ მუნიციპალიტეტის გამგებლად აკაკი (კახი) პაჭკორიას, ხოლო მაჟორიტარ და პარტიული სიის კანდიდატებიდან „ბურჯანაძე–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შემოხაზეთ–№3.

მიგაჩნიათ, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“, რატომ?

–პოლიტიკა ხელოვნებაა, პოლიტიკაში გამორჩენისთვის მისული ყვარყვარეები და ფარსადანები აბინძურებენ მას, ესეც დალაგდება, ეკონომიურად მოძლიერდება, ოჯახი უზრუნველყოფილი ეყოლება, არც კი დააინტერესებს ვინაა ქვეყნის მინისტრი, თუ პრემიერ-მინისტრი... დეპუტატი!

ის, რისი თქმაც გსურთ ამომრჩევლისთვის?

–დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყანათა მეფეებს (ევროპელებსაც სხვათა შორის) თიკუნად ზოგს „სულელი“, „მოკლე“, „ყრუ“, „კოჭლი“, „ბულგართმმუსვრელი“, „მრისხანე“ ჰქონდათ, აბა შეადარეთ ქართველ მეფეთა და დედოფალთა თიკუნები: დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, თამარ მანათობელი, ქეთევან წამებული, პატარა კახი... და ესენი ყველანი სრულიად საქართველოს მეფენი იყვნენ და არა ცალკეულ დიდებულთა ფავორიტები.

ვთხოვთ, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის მცირერიცხოვან ქართულ გუნდს, რომელსაც ასეთ საპასუხისმგებლო ჟამს ქართველი ერის წინამძღოლისა და გადამრჩენელის ფუნქციის შემსრულებლის შანსი მისცა ღმერთმა, ნუ იქნებით მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრთა თავმჯდომარე, რადგან იქაც ბევრი ყვარყვარე და ფარსადანია, მთელს საქართველოში მოძებნეთ ღირსეული ქართველები, პატრიოტები, საქართველოს ღირსეულ ადამიანთა გალერეაში, ან... ისტორიას არც კი ახსოვს, რამდენი რიგით მმართველი ჰყავდა საქართველოს, დასაბამიდან დღემდე...

ესაუბრა მანანა შულაია

9 მაისი – გამარჯვების დღე!

69-ე გაზაფხული...

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის თემში, საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ტერიტორიაზე აღინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით. სამამულო ომის ვეტერანებთან ერთად სამოცდამეცხრედ აღნიშნეს ეს დღე ხობელებმა. მემორიალთან ვეტერანები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამსახურის ხელმძღვანელები და რიგითი ხობელები შეიკრიბნენ, ყვავილებით შეამკეს შინმოუსვლელთა საფლავები და პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ომგადახდილი ხობელები სიხარულს ვერ მალავდნენ. 9 მაისი მათთვის ამაღელვებელი დღეა.

ომის ვეტერანებს გამარჯვების 69–ე წლისთავი თბილი სიტყვებით მიულოცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილემ ხვიჩა ჟიშკარიანმა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილემ ედიშერ ჯობავამ. ქ. ხობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგმა ზაირა ცხადაიამ სამადლობელი სიტყვით მიმართა ომის ვეტერანებს, ხოლო მისმა აღსაზრდელებმა მათთვის ლექსები წაიკითხეს. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო რელიქვიადქცეული სამკუთხა ბარათები, რომელიც დასასრულს აღსაზრდელებმა სიმბოლურად სამკუთხა ბარათებზე დაწერილი მადლობის სიგელები ვეტერანებს გადასცეს.

ცხრა მაისის ღონისძიებაზე ანსამბლმა „კოლხეთმა“ დამსწრე საზოგადოებისთვის მრავალხმიანი სიმღერები შეასრულა. მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანთა ხობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ცხადაია და სამამულო ომის ვეტერანი ოთარ ჩოკორაია, მათ ომის ქარცეცხლიანი დღეები გაიხსენეს და ადგილობრივ ხელისუფლებას გულისხმიერებისთვის და დაფასებისთვის მადლობა გადაუხადეს.

–საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ფაშიზმზე გამარჯვების 69–ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში

დაწესდა ერთჯერადი ფულადი დახმარება: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის 400 ლარის, ხოლო ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულთათვის–200 ლარის ოდენობით. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ომის ვეტერანებისთვის გამოიყო ერთჯერადი დახმარება 150 ლარის ოდენობის, ხოლო შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ხელმძღვანელობამ ვეტერანები 100-100 ლარით დაასაჩუქრა.

ზეიმი დასრულდა, 16 ხობელ ომის ვეტერანს საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდხანს სიცოცხლე და მრავალი სიხარული უსურვეს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ფაშიზმზე გმარჯვების 69–ე გაზაფხულს, ჯანის სიმრთელესა და წელთა სიმრავლეს გისურვებთ!!!

ნანა კეშულარია

ომს შეწირული სიცოცხლე

შინმოუსვლელთა ხსოვნის აბობოქრება

გაცრეცილან, გაყვითლებულან, გახუნებულან ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა მარათები, შინმოუსვლელთა ფოტოსურათები. მათი ხსოვნა მხოლოდ მოგონებებსა და ძალიან ახლო ადამიანების გულებში სულდგმულობს...

ომის დამთავრებიდან 69–ე გაზათეხული დადგა საქართველოში. სამწუხაროა, რომ აქა–იქ შემორჩნენ ომგადახდილები, რომლებიც წარსულის მოგონებებით ცხოვრობენ და ცკივილით იხსენებენ ომის საშინელ წლებს, მათ გვერდით დაღუპულ უწვერულოვაში ახალგაზრდებს, თავიანთ თანაცოლებსა თუ მათზე უფროსებს, რომლებიც მრბოლის ველზე დაეცნენ..

ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავლად არიან ასეთი ოჯახები, რომლთაც მამა, ძმა, მამუა თუ სხვა ახლობელი დააკლდათ დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში. მეგრმა მათგანმა

რუსეთის, უკრაინისა თუ სხვა ქვეყნების ცრამალებსა თუ საბმო საფლავებში ჰპოვა განსასვენებელი, მეგრი უკვალოდ დაიკარგა და... შინმოუსვლელად დარჩა...

თითქმის ყველა ხობელს ახსოვს ალმათ, ახალმა თაობამ კი მონათხრობებიდან თუ იცის, რომ ათეული წლების წინათ ერთი ხობელი შინმოუსვლელის (ყურუა) ნეშტი საბმო საფლავიდან ხობში გადმოასვენეს გულზე დაკიდებული მედალიონის წყალობით, რომელზედაც მისი გვარ–სახელი იყო ამოტვიფრული. ათეული წლის მერე მისი ნეშტი მშობლიურ მიწას მიამარეს და ზალპებით პატივი მიაგეს.

მეორე განსაცვიფრებელი კი ის იყო, რომ შინმოუსვლელი ჯარისკაცის, ხეთელი ამირან ლაცარიას მსცოვანმა დედამ, ქალმაცონმა ლიზა ლაცარიამ თავისი სახლი ერთადერთი შვილის და ყველა ომიდან არდამრუნებული ჯარისკაცის სახლად და მუზეუმად აქცია. ეს ყველას როდი ძალუძს. მუზეუმი ნამდვილ რელიქვიად იქცა. შინმოუსვლელთა ოჯახების ნავსაყუდელი გახდა. ამირანის გამოგზავნილ სამკუთხა მარათებს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ომში დაღუპულ ჯარისკაცთა მარათები მიემატა და... მუზეუმი ფოტოსურათებითა და წერილებით გაივსო. მის სანახავად ადამიანთა რიგი იდგა. ეს იშვიათობა გახლდათ.

დრო ულმობლად გაილია. დიდისანია დედა—ლიზა მიიცვალა. მისი სული თავისი ერთადერთი შვილის, უწვერულოვაშო ამირანის სულს შეერწყა და იქ, სამუდამო სამყოფელში განაგრძობს ცხოვრებას...

ნათელი დაადგეთ მათ წმინდა სულებს, ნათელი და არდავიწყება ასეთ გმირებს. ისინი მიუხედავად ქამთასვლისა, მაინც „ღიმილის მიჭებად“ გვეგულებიან ჩვენს ყოველდღიურობაში.

9 მაისი ყველა შინმოუსვლელის ხსოვნისა და არდავიწყების დღეა. მოგონებებისა და ცკივილების დღე... შინმოუსვლელთა ხსოვნის ამობობოქრების დღე!

ნანი კილასონია.

სოფლის მეურნეობის აღორძინება და მისი წინწამოწევა უკვე მეორე წელია პრიორიტეტად იქცა. ამ დარგის განვითარებისთვის ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს მელიორაცია, კერძოდ, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესება წარმოადგენს, რადგანაც მელიორაცია მიზნად ისახავს მიწის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებას მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით. საამისოდ მთელ საქართველოში სარწყავი და სადრენაჟე არხების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციარეკონსტრუქცია ხორციელდება. არსებობს მოკლე და გრძელვადიანი პროექტები, რომელებიც სამელიორაციო სისტემების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

2012 წლის დასაწყისში შეიქმნა შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“, რომლის შემადგენლობაში შედის დასავლეთ საქართველოს საექსპლუატაციო, სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სამმართველო. გეოგრაფიული მდებარეობიდან და ადრე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, სამმართველოს ცენტრად ხობი იქნა მიჩნეული. სწორედ ხობში ფუნქციონირებს სამმართველო, რომელსაც სათავეში უდგას ამ დარგის შესანიშნავი სპეციალისტი, გამოცდილი პიროვნება ილარიონ გეგუჩაძე.

თუ რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები იქნა შესრულებული კომპანიის მიერ, კერძოდ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებსა თუ თემებში, როგორია მათი კონცეფცია ამ დარგისადმი, რა სახის სამუშაოებია ჩატარებული და ჩასატარებელი, როგორია მათი მიზან-ამოცანები და სამომავლო მოკლე და გრძელვადიანი პროექტები, ამ კითხვებზე საპასუხოდ ვეწვიე ბატონ ილარიონ გეგუჩაძეს.

აი, რას გვპასუხობს სამმართველოს უფროსი:

მელიორაცია—სოფლის მეურნეობის განვითარების ფუნდამენტი

–სოფლის მეურნეობის სრულყოფილად აღორძინებისა და განვითარებისათვის, პირველ რიგში, უმთავრესია სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება. ამ მიმართულებით 2013 წელი გარდატეხის წლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ დროიდან დაიწყო სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ახალი ტექნიკით უზრუნველყოფა. კერძოდ, ჩვენ ამ პერიოდში მივიღეთ 12 ერთეული სხვადასხვა დანიშნულებისა და მარკის ტექნიკა. ორი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ადმინისტრაციულ და დამხმარე ნაგებობებს, მიმდინარე წლის ივნისიდან კი სარემონტო სახელოსნოს კაპიტალური შეკეთება დაიწყება.

საქართველოში მელიორაციის სექტორის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, ექპლუატაცია დამოკიდებულია დიდი მოცულობის მატერიალურ დანახარჯებთან და მოითხოვს განსაკუთრებულ სტრატეგიულ ხედვას.

2013 წელს სამმართველომ შეასრულა 1,7 მილიონი ლარის სამუშაოები, აქდან ხობის მუნიციპალიტეტის 6 ობიექტზე შესრულდა 1,2 მილიონი ლარის სამუშაოები, რითაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1400 ჰექტარ მიწის ფართობს.

სამელიორაციო სამუშაოები გასულ წელს დაიწო და მიმდინარე წელს ხობის მუნიციპალიტეტის ექვს თემსა და სოფელში უკვე შესრულდა. კერძოდ, შუა ქვალონში დაიშრო 454 ჰექტარი მიწის ფართობი, არხის სიგრძე 24,384 კილომეტრს შეადგენს, საიდანაც ამოღებული გრუნტის მოცულობა 47 451 კუბური მეტრია, ბულდოზერებით 49 056 კუბური მეტრი მიწა გაიშალა, ჩაიდო საჭირო რაოდენობის მილხიდი, სულ აღნიშნულ ფართობებში 411 ათასი ლარის სამუშაო იქნა შესრულებული.

პირველი მაისის თემში სულ 81,5 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდა. დამშრობი ფართობის მოცულობამ 76 ჰექტარი შეადგინა, არხის სიგრძე 4,085 კილომეტრია. ამოღებულიქნა 6017,0 კუბური მეტრი მიწა, ბულდოზერით 6147,0 კუბური მეტრი მიწა გაიშალა.

ახალსოფლის თემში დამშრობი ფართობის მოცულობა 211 ჰექტარი ფართობია, მისი სიგრძეა 12, 359 კვ/კილომეტრია. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაა 153,1 ათასი ლარი. სოფელ საგვიჩიოში დაშრობილ 229 ჰექტარ ფართობზე, გაწმენდილი არხის სიგრძემ 18,355 კმ. შეადგინა. ამოღებულიქნა 21042,0 კუბური მეტრი მიწა ბულდოზერით, სამუშაოთა ღირებულებამ 156,1 ათასი ლარი შეადგინა.

ქვემო ქვალონის თემში შესრულდა 329,9 ათასი ლარის სამელიორაციო სამუშაოები, მათ 324 დამშრობი ფართობი ერიცხებათ, გაწმენდილი არხის სიგრძე 19, 411 კილომეტრია.

მიმდინარე წელს ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობა 6 მილიონ ლარამდე გაიზრდება. აქედან, ხობში გათვალისწინებულია 2 მილიონამდე ლარის სამუშაოთა შესრულება, კერძოდ, 20 მაისიდან დაიწყება ხობი–უტორის მასივის სარეაბილიტაციო სამუშაოები სულ ჩატარდება სხვადასხვა სახის სამუშაო 975 ჰექტარ ფართობზე. გაიწმინდება კოლექტორები და შემკრებები 97,5 კმ. კვალთაშორისი ორნატები–198,8 კმ; დ–1,8 მილხიდი–18 ცალი, დ–0,3 მ მილხიდი ორნატებზე 741 ცალი. დაახლოებით იგივე მოცულობის სამუშაოები. იგეგმება ჭალადიდის მასივებზე, რომლის საპროექტო დოკუმენტაცია მუშავდება. სამუშაოების შესრულება დაახლოებით ოქტომბრიდანაა ნავარაუდევი.

სამმართველოში სულ 15 ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, 18 მექანიზატორი და 150 დამხმარე მუშაა დასაქმებული. როგორც აღვნიშნე, ხობის მუნიციპალიტეტის თემებსა თუ სოფლებში მოცულობითი სამუშაოები განვახორციელეთ, წინ დიდი მოცულობის გასაკეთებელი საქმეები გველოდება.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოსაყენებელი მიწების ვარგისიანობა და ხალხის სამსახურში ჩაყენება მელიორაციის ნომენკლატურაა, რასაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ჩვენთან, ხობის მუნიციპალიტეტში, იმედია, შედეგიანი იქნება.

მინდა გითხრათ, სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში ფუნდამენტი მელიორაციაა.

ესაუბრა ნანი კილასონია.

არჩევნების წინ

რას ფიქრობს ხალხი?!

ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენ დავინტერესდით და გავესაუბრეთ ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ადამიანებს და მოვისმინეთ მათი აზრი მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით, გავიგეთ რას ელიან მომავლისგან...

მოსაზრებებს უცვლელად ვბეჭდავთ.

საშა არჩაია, პედაგოგი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი–ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ყოველი დღე თითოეულ ჩვენთაგანს ახალ-ახალ ფუნქციებს გვაკისრებს. ეს არჩევნები ახალ საარჩევნო კანონის პირობებში ჩატარდება. ჩვენ წინა ორი არჩევნები მშვიდობიანი და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩავატარეთ, რომელმაც მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენ უძველესი ქვეყანა ვართ, რომ შეგვიძლია ყოველთვის მოვუხმოთ გონიერებას და მომავალს ჯანსაღი პოზიციებიდან შევხედოთ. კარგად გავაანალიზოთ ის მიღწევები, რაც დღეს სახეზე გვაქვს. დღეს ხალხმა შვებით ამოისუნთქა. დღეს ის კარგად ხედავს და გრძნობს იმ მხარდაჭერას და დახმარებას, რომელსაც ის ღებულობს ხელისუფლებისაგან. მშრომელმა კაცმა პირი იბრუნა მიწისკენ. დღეს ის თავისუფლად ამუშავებს საკარმიდამო და სხვა დანიშნულების მიწის ფართობს, რომელიც მნიშვნელოვნად წაადგება მის საოჯახო ეკონომიკას. დღევანდელ ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ყოველი ოჯახი, მისი სიძლიერე სახელმწიფო აღმშენებლობის მთავარი ბერკეტია და ამიტომ იგი მუდამ ყურადღების ცენტრში ჰყავს. სულ ახლახანს შეიქმნა აგრარული განვითარების ფონდი, რომლის განხორციელების ერთგული ჯარისკაცი და შემოქმედი თითოეული ჩვენთაგანი იქნება. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა მნიშვნელოვნად წაადგება ადამიანთა ჯანმრთელობას და რამდენი პრობლემა მოუხსნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მე განათლების დარგის მუშაკი ვარ და არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო ის ფაქტი, რომ დღეს ყველა მოსწავლეს უფასოდ დაურიგდა სასწავლო სახელმძღვანელოები, 17 პრესტიჟულ ფაკულტეტზე მთავრობამ უფასო სწავლება შემოიღო, რაც მნიშვნელოვნად წაადგება აქ ჩარიცხული სტუდენტის ოჯახის ბიუჯეტს. დღითიდღე მტკიცდება სკოლების ინფრასტრუქტურა, რომელიც დადებითად იმოქმედებს მომავალი თაობის ფორმირების საქმეზე. სულ მალე დაიწყება სპორტული კომპლექსის (საცურაო აუზი, სხვადასხვა სპორტული შენობა-ნაგებობის) აღდგენითი სამუშაოები. დღევანდელ ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ჯანსაღ ორგანიზმში ჯანსაღი სულია. ძალადობის ეპოქა ისტორიას ჩაბარდა. თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს მყარი სამართლებრივი ბაზა სჭირდება. მოსახლეობა დადებითად აღიქვამს იმ ნაბიჯებს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის. სიმართლის შუქმა ყველგან უნდა შეაღწიოს.

მჯერა და მწამს, რომ მომავალ არჩევნებზე მოსახლეობა კიდევ ერთხელ ნდობას და მხარდაჭერას გამოუცხადებს ქვეყანას აღმშენებლობისაკენ მიმართულ მთავრობის კურსს.

დემურ ბუკია, ქ. ხობის მცხოვრები–ყველაფერ კარგს მოველი მომავლისგან და საერთოდ, ამ არჩევნებისგან. იმედი მაქვს, რომ „ოცნება“ დიდი უპირატესობით მოიგებს. მოველი საქართველოსა და ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას, რომ ჩვენი ქალაქი უფრო გალამაზდება და დამშვენდება. წინსვლა ეტყობა კიდევაც ხობს.

იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდები დასაქმდებიან, უფრო მეტი ინვესტორი შემოვა საქართველოში და საქართველოს წინსვლას ხელს შეუწყობს.

თამარ პერტია, ისტორიკოსი–ჩვენი ქვეყანა დღეს უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც სულიერი ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ ახალი საქართველო, არა ქაოსური, არამედ აზრიანი პროცესებით.

ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არაა, არამედ პოლიტიკური ქვიტკირია.

ქვეყნის ერთობა სარწმუნოებრივი ერთობაა. ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია განვითარების აღმავალი დინამიკაა.

საქართელოს ხელისუფლების პოლიტიკის მიზანია მეზობლებთან და პარტნიორებთან ერთობლივად სტაბილურობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ყოველი ფაქტი და მოვლენა ლოგიკური კანონზომიერებით უნდა იყოს განპირობებული.

სუსანა არზიანი, კულტურის ცენტრის თანამშრომელი–მადლობა უფალს ამ კითხვისთვის. ჩემთვის არჩევნები დიდი პასუხისმგებლობაა, მთელი ცხოვრებაა, ნანატრი მომავალია.

თითოეულ ჩვენთაგანს უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტეს მეშვეობით გვეძლევა ჩვენ წყალობა და ჭეშმარიტება. ქრისტიანული იმედი არის ჩვენი იმედი ღმერთთან შეერთებისა მომავალ ცხოვრებაში. და ამიტომაც ჩემი მოკრძალებული თხოვნა იქნება, შევთხოვოთ უფალს გაგვინათოს გონება, გაგვაკეთებინოს სწორი არჩევანი ჩვენი ქართველობის, სიწმინდის, ენისა და ერის გადასარჩენად.

ამჯერად ჩემი გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი რიგითი ამომრჩეველი ვარ. იმედი მაქვს, ამ არჩევნების შედეგები დადებითად აისახება ჩემს კარიერასა და მოღვაწეობაზე.

ღმერთმა ქნას, ამ ხელისუფლების პირობებში უიმედობის განცდამ არ მომიცვას.

და ბოლოს,

„ღმერთმა ინებოს ჩვენი გადარჩენა
ბნელის დამარცხება ნათელით...“

ესაუბრა ნანა კემულარია.

ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში

თანამედროვე განათლების სისტემაში, გამოყენებულია სწავლებისა და აღზრდის სხვადასხვა მეთოდები. გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლე სხვადასხვა გზით იმახსოვრებს ან სწავლობს, შესაბამისად გამოიყენება სხვადასხვა აქტივობები, თითოეული ყარგად ჩატარებული გაკვეთილის თუ რომელიმე განხორციელებული პროექტის უკან დიდი შრომა და ჯაფაა ჩადებული, რომელშიც ყველა—მასწავლებელი და მოსწავლეა ჩართული. თავდაპირველად პროექტზე მუშაობა სკოლებში იწყება, შემდეგ იგი ზონების მიხედვით მიმდინარეობს, საბოლოოდ კი მას საგანმანათლებლო რესურსცენტრი აჯამებს, სადაც კიდევ ერთხელ რწმუნდები ჭეშმარიტებაში „სკოლა ცოცხალი ორგანიზმია".

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ განათლების რესურსცენტრში ბოლო პერიოდში განხორციელებულ თუ მიმდინარე მუშაობის ამსახველ მასალებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო ანტინარკოტიკული კამპანია დევიზით ,,არა ნარკოტიკს, ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება!" რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა სასკოლო კონკურსები. კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ანტინარკოტიკულ თემაზე შეექმნათ ნახატები შესაბამისი სლოგანით და წარედგინათ არაუმეტეს ორი ესე, რომელსაც ავტორის გამოსვლის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ბმული ექნებოდა მითითებული. მუნიციპალიტეტის სკოლები საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ კონკურსში. რესურსცენტრში შექმნილმა კომისიამ გამოავლინა კონკურსში გამარჯვებული:

ნახატების კონკურსში:

ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ბექა ფარცვანია (მე-8 კლასი);

შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლეები -მარიამ შენგელია და ლანა ქირია.

კონკურსი ,,მივმართავ თანატოლებს" საუკეთესო ესე:

ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე დავით ქანთარია (მე-12 კლასი).

კონკურსის მე-3 ეტაპი გაიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში. მოსწავლეებს ადგილზე მიეცემათ რამდენიმე საკვანძო სიტყვა, რომელთა გამოყენებითაც დაევალებათ ერთწუთიანი მიმართვის მომზადება. საჯარო მიმართვის შედეგად კომისია გამოავლენს I, II და III ადგილზე გასულ მოსწავლეებს.

საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით, ხოლო მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები და წიგნის ვაუჩერები.

გთავაზობთ მოსწავლეთა ესეებს

ვირჩევთ თავისუფლების გზას

ნარკომანია თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმწვავესი პრობლემაა. ჩემი აზრით, იგი ერთ-ერთი უმძიმესი ავადმყოფობაა, რომელიც, საბედნიეროდ, იკურნება.

მე მინახავს ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყო ნარკომანი. სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ „დედამიწაზე არაფერი არაა ისეთი სრულყოფილი, როგორც უბედურება". ფოტოზე გამოსახული იყო დეგრადირებული „ნაკაცარი", ნაჩვენები იყო, თუ რად შეიძლება გადაიქცეს ნარკოდამკიდებული არსება. მას ვერ ვუწოდებდი ადამიანს, ეს იყო ცარიელი თოჯინა, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა. მომეჩვენა, თითქოს ფოტოზე გამოსახულ პიროვნებას თვალების ნაცვლად ორი არაფრისმთქმელი ღრუ ჰქონდა, რომლებიც საოცარ სიცივეს ასხივებდა. არარაობად ქცეული არსების გამოსახულება ყველა ნორმალურ ადამიანზე დამრთგუნველად მოქმედებს, თუმცა, მე მაინც მჯერა, ამ დაფერფლილი „ნაკაცარისგან" ერთ მშვენიერ დღეს ფენიქსივით წამოიმართება ყოველი ღირსებით შემკული ადამიანი.

როგორც ამბობენ, ადამიანები ნარკოტიკების გამოყენებას მაშინ იწყებენ, როცა თავს დიდი განსაცდელი დაატყდებათ. მგონია, პრობლემების გადასაჭრელად ნარკოტიკების გამოყენება არასწორია. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი ერთ უბედურებას მეორეთი ცვლის. მე მაინც მიმაჩნია, ჩვენს საზოგადოებაში ამ პრობლემას იმიტომ აქვს ფესვები ასე ღრმად გამდგარი, რომ ჩვენ საკმარისად არ ვფლობთ ინფორმაციას ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ. პრობლემა რომ გადაიჭრას, საჭიროა, მოიძებნოს მისი სათავე და ფესვებიანად ამოიძირკვოს.

ნარკოტიკს ადამიანისთვის ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია. იგი, ფაქტობრივად, მთელ ორგანიზმს ანადგურებს, იწვევს ჰალუცინაციებს. ცნობილი ფაქტია, რომ აშშ-ში ერთმა ნარკოტიკების მომხმარებელმა საკუთარი ცოლ-შვილი დახოცა. მიმაჩნია, რომ ნარკოტიკი იგივე გახანგრძლივებული თვითმკვლელობაა. საჭიროა, საზოგადოება აქტიურად ჩაერიოს და ამასთან მის ცნობიერებაშიც რაღაც უნდა შეიცვალოს. საზოგადოება უფრო შემწყნარებელი გახდეს ყოფილი ნარკომანების მიმართ და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს.

ნარკომანს ვამსგავსებ მონას, რომელზედაც ნარკოტიკი მბრძანებლობს. მას წართმეული აქვს თავისუფლება, ვეღარ აზროვნებს, კარგავს ყველასა და ყველაფერს. როდესაც უარს ვამბობთ ნარკოტიკზე, უარს ვამბობთ მონობაზე, შესაბამისად, ვირჩევთ თავისუფლების გზას.

ნარკომანია არ არის კონკრეტული ადამიანის ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფის პრობლემა. იგი ერთნაირად ეხება ყველას, ამიტომაც იგი ერის პრობლემაა.

მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, თუ საზოგადოება გაერთიანდება, ეს პრობლემა მოისპობა. მწამს, „რომ გათენდება დილა მზიანი" და ეს პრობლემა არ იარსებებს.

დავით ქანთარია,
სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა, XII კლასი.

ნარკომანის აღსარება

გაზაფხულმა კვლავ შემოაბიჯა მისთვის ჩვეული სითბოთი და სილამაზით. ჩემს გულში არაფერი ცვლის სიცარიელეს, იმედგაცრუებას... მახსენდება ჩვენი საუბრები... მთელი ენთუზიაზმით ცდილობდი ძლიერ პიროვნებად აღგეზარდე... მეუბნებოდი, რომ ცხოვრება მშვენიერი იქნებოდა, თუ მე სათანადოდ მოვემზადებოდი. გიყვარდა შეგეხსენებინა პასუხისმგებლობა, უფლის უსაზღვრო გონიერების გამოვლინებად რომ თვლიდი... ჩემო ბერიკაცო, ძალ-ღონეს არ იშურებდი, რათა გესწავლებინა ღირსეულად ბრძოლა მტრისა და საკუთარი ნაკლის წინააღმდეგ.

ბაბუ, გევედრები თავი არაფერში დაიდანაშაულო, რამეთუ მხოლოდ წვრთნანი რას უშველის, თუ ბუნებამ არ შეუწყო ხელი...

ჩემი ცხოვრების უკეღმართობას ვერც ობლობას დავაბრალებ და ვერც მატერიალურ სიდუხჭირეს. ყველაფერი პატარა შეცდომით დაიწყო, ერთმა არასწორმა ნაბიჯმა უფსკრულში გადამჩეხა. საკუთარი თავის პატივისცემა და ღირსება ფეხქვეშ გავთელე... ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასზე თავად ვთქვი უარი. არ დავინდე ნათესავები და საყვარელი ადამიანები, ჩემი ნალოლიავები მომავლის გეგმები, ოცნებები, დასახული მიზნები წუთიერ სიამოვნებაში გავცვალე... პატარა პრობლემა უკურნებელ სენად მექცა. თანმდევმა შიშმა წარმოსახვისა და სასიამოვნო ფიქრის უნარი დამაკარგვინა. კარიერის აწყობასა და ოჯახის შექმნაზე საუბარიც ხომ ზედმეტია...

რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს?! ვამძიმებ დედამიწას, დარჩენილი დღეების გატარება სინანულსა და ტანჯვაში მომიწევს. ხანდახან ვნატრობ, შეურაცხადი ვიყო, რათა ვერ გავიაზრო ის მძიმე დანაშაული, რომელიც ოჯახისა და საზოგადოების წინაშე მიმიძღვის... ვიცი, ზოგში ზიზღს ვიწვევ, ზოგსაც ვებრალები, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანს...ხსნას უფალში ვხედავ და ყურში ჩამესმის ლიტერატურის მასწავლებლის საყვარელი ფრაზა: „უფალი ჩვენთან არს".

მე ვარ ადამიანი, რომელმაც ყველაფერი დათმო არაფრის გამო. ეშმაკს შესწირა თავი. გთხოვთ, არ გაიმეოროთ იგივე შეცდომა და ჯოჯოხეთად არ იქციოთ თითოეული წუთი, ქარს არ გაატანოთ სანუკვარი წლები! როგორც კი გძლევთ სასოწარკვეთილება, ცნობისმოყვარეობა ან სხვა რამ, გაიხსენეთ ჩემი „ტრაგედია კომედიის ნასახის გარეშე".

მე კი გთხოვ, მაპატიო, დარდს გადაყოლილო ბაბუა, ბედის ანაბარა დარჩენილო დაიკო, იმედგაცრუებულო ექიმო, შეურაცხყოფილო მასწავლებელო, მაპატიეთ, რომ ნარკოტიკს ვერ ვუთხარი ,,არა"!

შორენა ბუკია,
სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

არა ნარკოტიკს, ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება!

ნარკომანია–ძილი, გაშტერება, სიგიჟე, ლტოლვა, მიდრეკილება. ის ქრონიკული დაავადების ბოლო სტადია, რომელიც კონკრეტული ნივთიერებების (ნარკოტიკების) მოხმარებითაა გამოწვეული.

სოციოლოგების თვალსაზრისით, ნარკომანია დევიანტური ქცევის ერთ-ერთი ფორმაა, ანუ ქცევა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული

მორალურ-ზნეობრივი ნორმებისგან იხრება, ნარკომანიის წარმოშობის და განვითარების მიზეზად, ყველაზე ხშირად, ხასიათის თავისებურებებს, ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევებს, ამა თუ იმ სოციალური ფაქტორის გავლენას ასახელებენ.

იშვიათი არაა წამალზე დამოკიდებული გახდეს ისეთი ადამიანი, რომელიც სამედიცინო მიზნებისთვის იძულებულია, დიდი ხნის განმავლობაში მიიღოს ნარკოტიკული საშუალებები. ბევრ მედიკამენტს, რომლებიც ოფიციალურ მედიცინაში გამოიყენება, შეუძლიათ ნარკოტიკული დამოკიდებულების მძიმე ფორმების გამოწვევა, რაც შეიძლება მათი მოხმარების დროს სერიოზული პრობლემა გამოიწვიოს.

ნარკომანია დღესდღეობით მწვავე პრობლემას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. ქიმიური ნივთიერებებით იღუპებიან ადამიანები. ნარკოტიკი სპეციფიურ გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და რაც ყველაზე სამწუხაროა, დაღუპულთა შორის არიან მოზარდებიც, ეს ყოველივე სწორედ რეალურ კატასტროფად იქცა.

26 ივნისი საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ არის გამოცხადებული. ნარკომანიასთან ბრძოლა, პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე მიმდინარეობს.

ჩემი აზრით, რთულია, მაგრამ ეფექტური, საზოგადოებას ისეთი სოციალური პირობები შევუქმნათ, რომელიც ნარკოტიკების გამოყენებას ხელს შეუშლის. მოზარდებში ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში აქტიურად არიან ჩართულნი ამერიკელი მშობლებიც, რადგან თუ მთელმა საზოგადოებამ არ გამოიჩინა დაინტერესება ამ პრობლემის მიმართ, მარტო სამართალდამცავების ძალისხმევით მისი გადაჭრა მეტად რთულია.

ჩემი აზრით, ადმინისტრაციული მეთოდების გატარება ნაწილობრივ მოაგვარებს პრობლემას. ნარკომანია, ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც, როგორც მომხმარებელს, ისე საფრთხის ქვეშ ჩვენც გვაყენებს. ისინი უამრავი უაზრო მიზეზის გამო არიან ნარკოტიკზე დამოკიდებულნი, ზოგი ერთხელ ცდის, გასინჯავს და ემონება.

ძალიან მინდა, რომ ყველა ნარკომანმა დაძლიოს ეს საშინელი დაავადება და ცხოვრება ნათელ ფერებში გააგრძელოს. ნარკომანები არ უნდა გავრიყოთ, პირიქით, უნდა დავეხმაროთ, მათ ჩვენი მხარში დგომა და დახმარება სჭირდებათ, ჩვენი მიზანიც ხომ ისაა, რომ თვალდახუჭულს თვალი ავუხილოთ, არ უნდა მივატოვოთ.

ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია, საზოგადოებას დავეხმაროთ იმის გარკვევაში, ნარკომანები ავადმყოფები არიან თუ დამნაშავეები? ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებას სძულს წამალზე დამოკიდებული ადამიანი. ისინი ვერ ხვდებიან, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარების ხელის გაწვდენაა და არა ზიზღიანი თვალებით ყურება, გარიყვა იმ საზოგადოებისგან, რომლის სრულფასოვანი წევრებიც იყვნენ, საზოგადოებისგან ასე შორს ყოფნა მათთვის ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს იმისას, რომ შვება წამალში იპოვონ.

სურვილი მაქვს, რომ გაძლიერდეს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში და საზოგადოება მოემზადოს იმისათვის, რომ სრულფასოვან ადამიანად მიიღონ დაავადებულები.

ჩემი აზრით, ნარკომანმა ადამიანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს ის რწმენა, რომლითაც ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება.

მონიკა კუკავა,
ხამისქურის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში

ლექცია-სემინარები ანტინარკოტიკულ თემებზე

ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს შეხვედრები საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

ხობის №I საჯარო სკოლაში ფოთის რაიონულმა პროკურორმა ალექსანდრე გოგუაძემ და პროკურორმა ემილიანე ბერაიამ მე-11, მე-12 კლასელთათვის ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში ჩაატარეს ლექცია-სემინარი ცივი იარაღის უკანონო ტარებასთან, კანონიერ ქურდებთან, ქურდულ სამყაროს წევრობასა და სხვა დანაშაულობებთან დაკავშირებით. საუბრებში მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ და შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სემინარის ბოლოს პროკურატურის თანამშრომლებმა აქტიურ მოსწავლეებს სიგელები გადასცეს და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს.

ლექცია-საუბრების მიზანი იყო უფროსკლასელებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ზნეობრივი თვითშეგნების განვითარება.

ტრენინგი ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების წევრების გადამზადების პროგრამა, სახელწოდებით: „სამეურვეო საბჭოს ფუნქცია სკოლის განვითარებაში და სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვის შეფასება“.

მოდული მოიცავს 8 საკონტაქტო საათს და ტრენინგები რამდენიმე ძირითად მიმართულებაზეა ორიენტირებული:

• სამეურვეო საბჭოს წევრებმა უნდა გააანალიზონ ზოგადი განათლების სისტემის დანიშნულება, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და წარმატებული სკოლის მახასიათებლები, რათა განსაზღვრონ განვითარების რა ეტაპზეა სკოლა, როგორია მისი განვითარების პოტენციალი და რაში მდგომარეობს სამეურვეო საბჭოს როლი ამ პროცესებში.

• გაეცნონ სტრატეგიული დაგეგმვის დანიშნულებას, სტრუქტურა და განხორციელების ეტაპებს. მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა საშუალებას (SWOT ანალიზის ტექნიკას, კითხვარს), დაალაგონ პრობლემები პრიორიტეტულობის მიხედვით, რათა შეძლონ დირექტორობის მსურველი კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სკოლის განვითარების ხედვის ეფექტურობის განსაზღვრა (რამდენად შეუძლია წარმოდგენილ კანდიდატს სკოლის გარდაქმნა ქმედით და წარმატებულ ორგანიზაციად);

• შეაფასონ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის როგორც შინაარსობრივი, ასევე ვიზუალური მხარეები.

• ტრენინგი მიმდინარეობს ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

ტრადიციულად რამდენიმე წელია, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ინტელექტუალური ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, მოსწავლეთა შორის ტარდება ინტელექტუალური კონკურსი: „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. მასში მონაწილეობას იღებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლე. კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში V-VIII და IX-XII კლასის მოსწავლეებში იმართება.

8 აპრილს, ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართა მორიგი რაიონული კონკურსი. თითოეული გუნდი შედგებოდა შვიდი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრისგან. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში რაიონული ტურის გამარჯვებული გახდა პირველი მაისის საჯარო სკოლა, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფში,–ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდს გამარჯვება მოუტანა გუნდის კაპიტანმა, ამავე სკოლის მოსწავლემ ცოტნე გუჩუამ.

კონკურსის პირობებიდან გამომდინარე, მონაწილე სკოლებმა წარმოადგინეს საგალობლები და ქართული ხალხური სიმღერები. გვინდა მათ შემდგომ ეტაპზე წარმატებები ვუსურვოთ.

25 აპრილს G-Pried-ი (დაწყებითი განათლების პროექტი-ის) ფარგლებში სოფელ შუა ხორგის საჯარო სკოლაში სამუშაო შეხვედრა ჩატარდა

საქართველოს დაწყებითი განათლების პროგრამა (G-Pried) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროგრამაა. პროგრამის მიზანია კითხვისა და მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებით დაწყებითი კლასების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება და ამ მიმართულებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა. დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კითხვისა და მათემატიკის უნარების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს უნარები განაპირობებენ პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას მთელი კარიერის მანძილზე.

„ინტელექტის დღე 2014“

საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ მესამედ გაიმართა, რომელშიც ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 22 საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა... ფინალში ქალაქ ხობის №2 და ხამისქურის საჯარო სკოლები გავიდა. საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა.

გამარჯვებულ გუნდებს პრიზები გადასცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, ხობის მაჟორიტარი ბიუროს უფროსმა ბატონმა რევაზ წულაიამ და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე თამუნა სიჭინავამ.

გამარჯვებული გუნდი 24 მაისს გაემგზავრება ქალაქ თბილისში, სადაც „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება ინტელექტი-2014 ფინალური შეხვედრა.

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) ორგანიზებული კვლევა TIMSS-ი

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA)) დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნის კვლევითი ინსტიტუტები და სახელმწიფო ორგანიზაციები. საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) 1959 წლიდან ატარებს კვლევებს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეების მიღწევების შეფასების მიზნით.

TIMSS-ი შეისწავლის მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მე-4 და მე-8 კლასის მოსწავლეების მიღწევებს და ტარდება 4 წელიწადში ერთხელ. პირველად ის 1995 წელს ჩატარდა, 2015 წელს კი TIMSS-ის კვლევის მეექვსე ციკლი ტარდება. ამ კვლევაში მონაწილეობს 50-ზე მეტი ქვეყანა. საქართველო ერთერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პროექტში მონაწილეობს.

ამ კვლევებში მონაწილეობისთვის მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა სკოლები, საიდანაც ერთ-ერთი სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლაა.

კვლევის სტრუქტურა ასეთია: შერჩეული კლასების მოსწავლეები შეავსებენ ტესტს და მოსწავლის კითხვარს: ამასთან ერთად, კვლევაში მონაწილე მოსწავლეების მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკური გეოგრაფიის) მასწავლებლები, სკოლის დირექტორი, ასევე მე-4 კლასის მოსწავლეთა მშობლები შეავსებენ მათთვის განკუთვნილ კითხვარებს.

24 აპრილს TIMSS-ის კვლევა ჩატარდა მე-8 კლასში, ხოლო 29 აპრილს კი მე-4 კლასში.

„სიყვარული ისეთი ბუნებისაა, დამუსიკალურებას არ საჭიროებს. ის თავად მუსიკალურია, სადაც ფეხს დადგამს...“

/გოდერძი ჩოხელი/



რედაქციაში ახალგაზრდები მესტუმრნენ, ხელში ლამაზი „ეტრატი“ ეჭირათ და სკოლაში მეპატიჟმოდნენ. საუმარში შეკითხვა, რომ ეს გოგო-მიჯნები პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასელები იყვნენ, ისინი კაფე-საღამოს მართავდნენ, თემა კი, „სიყვარული-მუნების უმაღლესი პოეზია“ გახლდათ. მართალი გითხრათ, დავინტერესდი, რადგან დამეთანხმებით ალბათ, მსგავსი კაფე-საღამოებით განებივრებულნი არ გახლავართ. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, მოსწავლეები ერთმანეთს ცოლს არ უდებენ ლექსების თუ ჩანახატების კითხვისას. საღამოს ლაიტმოტივად გოდერძი ჩოხელის „ცხრა შეკითხვა სიყარულის შესახებ“ გასდევდა საღამოს უძღვებოდნენ; მაქარ ნადარაია და მარი ჯანაშია. ლექსებს კითხულობდნენ; მიქა ჭითავა, რევაზ ქაშიბაძე, მეგი ქარდავა. მუსიკალური გაფორმება კოკა შონიას ეკუთვნოდა. მან გუნდთან ერთად რამოდენიმე კომპოზიცია შეგვისრულა. წაკითხულიქნა ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები. სასიყვარულო საღამოზე მოსწავლეებთან ერთად, მონაწილეობა მოწვეულმა სტუმრებმაც მიიღეს. მათ ისაუბრეს სიყვარულზე, პოეზიაზე, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ლექსების წაკითხვაში, ჯგუფებს დაევალათ სინქვეინის შედგენა, რომელთა შორის საუკეთესოები, მოსწავლეებმა გამოავლინეს. საღონური ღონისძიება რამდენიმე საათს გაგრძელდა და თითოეული მონაწილისთვის დაუვიწყარ საღამოდ იქცა. მოლოს, ნომინაციებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ;

„სიყვარული-ბუნების უმაღლესი პოეზია“

1) ყველაზე ორიგინალური მკითხველი: ბექა ჭითავა, რევაზ ქაშიბაძე.

2) ყველაზე აქტიური მონაწილე: ბაქარ ნადარაია.

3) საუკეთესო სინქვეინი: პირველი სკოლის გუნდი.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების,სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ფერიდე გოგიამ მოსწავლეები მადლიერი სიტყვებით შეამკო და შეპირდა ექსკურსიის მოწყობას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მოსალოცად. ბავშვები ამ მეტად სასიამოვნო ცნობამ ძალიან გაახარა. იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ეს დანაპირები შეუსრულდებათ...

ღონისძიების დამთავრების შემდეგ გავესაუბრე მონაწილეებს.

ბექა, რადგან ღონისძიებას უძღვებოდი, მოდი შენით დავიწყებ, იდეა საიდან წარმოიშვა?

–დიდი ხანია, რაც ბავშვებს ინტელექტუალური საღამოს მოწყობა გვინდოდა. თემა მაშინ შერჩეული არც კი გვქონდა, კონკრეტულზე არც გვიფიქრია, მაგრამ იმ პერიოდში სიყვარულის დღე ახლოვდებოდა და ჩვენც ამ თემაზე შევაჩერეთ არჩევანი. ჩვენი სურვილი კლასის დამრიგებელს ქალბატონ ია ალანიას და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ჯული ქვარაიას გავანდეთ. მათ არ დაიზარეს, გვერდში დაგვიდგნენ და ერთიანი ძალისხმევით შევძელით ეს ლამაზი და ჩვენთვის დაუვიწყარი დღე შემდგარიყო.

საუბარში სხვებიც ერთვებიან, ერთად ცდილობენ აზრის გამოთქმას... სიყვარული უდიდესი გრძნობაა, რომელიც უძველესი დროიდან ასაზრდოვებდა კაცთა მოდგმას. სიყვარული- ბუნების უმაღლესი პოეზიაა!.. და სწორედ ამ პოეზიას მიეძღვნა ჩვენი საღამო. ინტელექტუალური კაფე ითვალისწინებდა ხობის ისტორიაში ახალი სიტყვა გვეთქვა. განხორციელებული პროექტი გვინდა მომავალი ასეთი ღონისძიებების ბალავარი იყოს.

სიყვარული რა არის?

–როცა იგრძნობ, რომ შენ უკვე სხვა ხარ, როცა მიხვდები, რომ შენი თავი შენ აღარ გეკუთვნის!.. როცა მიხვდები, რომ შენი გული მხოლოდ შენთვის არ ძგერს!.. აი, ეს არის სიყვარული! მაცოცხლებელი ძალა და ამ ძალას დამონებულია მთელი მსოფლიო...

არ შემიძლია მოსაწვევ ბარათზე, უფრო სწორად, „ეტრატზე“ არ გკითხოთ. ვისი იყო იდეა და დიზაინი?

ელისო ჭუმბურიძე:–როცა ჯერი მოსაწვევებზე მიდგა, ბევრი ვიფიქრეთ თუ როგორი უნდა გაგვეკეთებინა, ორიგინალური და ყველასათვის დასამახსოვრებელი. იდეა ია მასწავლებელმა, ჩვენი კლასის დამრიგებელმა შემოგვთავაზა, მანვე გვასწავლა თუ როგორ უნდა დაგვემზადებინა. მე კი მთელი ჩემი მონდომება და ენთუზიაზმი მოვახმარე მეგობრებთან ერთად ამის გაკეთებას, მიხარია, რომ ამას დადებითი შედეგი მოჰყვა.

დარბაზიც ლამაზად გაქვთ გაფორმებული, დიზაინზე ვინ იზრუნა?

–კაფე-საღამოს დიზაინზე ძირითადად იმუშავეს მეგი იოსავამ და შორენა ნადარაიამ.

საუბრით თავს არ მოგაწყენთ, თქვენთვის ეს დღე ისედაც ემოციებით დატვირთულია, მადლობას გიხდით ასეთი ლამაზი და სასიამოვნო საღამოსთვის. გისურვებთ წარმატებებს...

გამარჯვება „გამარჯვების ქალღმერთს“

8 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლაში I, II და III კლასებს შორის ვიქტორინა-კონკურსი გაიმართა. კონკურსი ჩაატარა სოლფეჯიოს პედაგოგმა ლამზირა ხურციამ. საუბარში ქალბატონმა ლამზირამ აღნიშნა, რომ ***მსგავსი ვიქტორინების თუ კონკურსების ჩატარება მოზარდ თაობებში ერთგვარი სტიმულის მომცემია, თან სახალისოცაა. ბავშვები ვიქტორინისათვის დიდი ხანია ენთუზიაზმით ემზადებიან, განსაკუთრებით პირველკლასელები აქტიურობდნენ. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი, მოაზროვნე ბავშვები არიან, იმედი მაქვს, ჩემი მოსწავლეები მასახელებენ“....***

ვიქტორინას კლასიკური მუსიკალური კომპოზიციებით ალამაზებდნენ უფროსი კლასის მოსწავლეები. ვიქტორინას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები. დარბაზში ვნებათაღელვა არ ცხრებოდა, პატარები ტოლს არ უდებდნენ მათზე უფროსებს, ალბათ ამიტომაც გაიმარჯვეს. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა ჟიურიმ (ქალბატონები ფერიდე გოგია, ხათუნა ხორავა, თამუნა ხუნწარია, ნაზი ბერაია, ხათუნა სალია) გამარჯვებულად I კლასის გუნდი „გამარჯვების ქალღმერთი“ გამოავლინა. მათ რამდენიმე ქულით ჩამორჩა გუნდი „ცოდნის შვილები“.

ჟიურის წევრებმა მონაწილე გუნდები დიპლომებით დააჯილდოეს და მომავალში მონაწილეებს წარმატებები უსურვეს.

გვერდი მოამზადა ნინო გერგაიამ.

ვალი

თვალსაზრისი

საოცარია ადამიანის ცხოვრება. დაბადებიდანვე მას ადამისა და ევას ცოდვა დაჰყვება და მთელი სიცოცხლის მანძილზე გასდევს. ასაკის მომატებასთან ერთად წინ ათასგვარი პირადი თუ საზოგადო ხასიათის ვალდებულება ემატება, რომლისგანაც სიკვდილამდე ვერ თავისუფლდება. შეიძლება, სწორედ ამ ვალდებულება, ხასიათი და სიმძაფრე განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების გზას და აქცევს მას ერთ შემთხვევაში თავისთავში ჩაკეტილ, პირად საზრუნავზე გადაგებულ ეგოისტად, რომელსაც მხოლოდ საკუთარი განცდები აღელვებს, სხვა შემთხვევაში კი სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ზვარაკად შეწირულ მამულიშვილად, რომლის წინაშე თავისი მეწამული ცხოვრების გამო მისი სამშობლო ვალდებული ხდება სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით სამარადისოდ უკვდავყოს მისი სახელი, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მიღწევების ბოლო მაგალითია მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მართალია, ქართველი ხალხის ამ ორი სათაყვანებელი შვილის როლი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში განუზომლად დიდია, მაგრამ იგი ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. მის აღმოცენება-განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა მრავალმა „უჩინო თუ ჩინიანმა“ ადამიანმა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან–მათ შორის სპორტიდან, რომლის ნებისმიერ სახეობაში გამარჯვება იმპერიის პირობებში ქართველისთვის არა მარტო სპორტულ წარმატებას, არამედ ქვეყნის გამარჯვებას, ქვეცნობიერად კი თავისუფლებისთვის მომავალ ბრძოლაში მის მზადყოფნას ნიშნავდა. ამ ნიშნით განსაკუთრებით მძაფრი დატვირთვის მატარებელი გახდა სპორტის გუნდური სახეობები და გამორჩეულად ფეხბურთი, რომელიც მიუხედავად გუნდურობის პრინციპისა თავისი არსით მაინც ინდივიდუალურია და განვითარების უმაღლეს საფეხურზე თავის წიაღს უბრუნდება. სწორედ ინდივიდუალურობა შობს ფეხბურთის ჯადოქრებსა და გუნდებს. გუნდურობა კი აპყრობინებს მათ მაღალ მწვერვალებს. ფეხბურთი, როგორც ჭადრაკი და ჭიდაობა, განსაკუთრებულად ახლობელი გახდა ქართველი კაცისთვის. იგი შეერწყა და მის ფსიქიკაში განივთდა. თუ ჭიდაობა, როგორც ფიზიკურ, ხოლო ჭადრაკი გონებრივ სრულყოფილებად აღიქმება, ფეხბურთი ფიზიკური ძალებისა და ძლიერი გონების სინთეზად იქცა.

ალბათ, არის რაღაც კანონზომიერება იმაში, რომ ფეხბურთის ჯადოქრები მესხი და მეტრეველი, რომლებზეც მიუხედავად აკრძალვისა, უდიდესი მოთხოვნა იყო საზღვარგარეთის ქვეყნებში, ან ხურცილავა და ჩივაძე, რომლებიც თავის დროზე უზარმაზარი იმპერიის ნაკრებს მიუძღოდნენ წინ, ერის ცნობიერებაში დიდ, მაგრამ მაინც სპორტსმენებად დარჩნენ.

განსაკუთრებით გამორჩეული ბედი ერგო გასული საუკუნის 70-იან წლების გამოჩენილ ფეხბურთელს დავით ყიფიანს, რომელმაც ფეხბურთის თამაში წარმოუდგენლად დახვეწა და ესთეტიკურ სიმაღლემდე აიყვანა. მან ქართველებს გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა და მისი გემო გაასინჯვინა. ყიფიანი ცნობილმა რუსულმა ველიკო დერჟავულმა დამოკიდებულებამ ქართველ კაცს მთელი იმპერიისადმი აქამდე არსებული პროტესტის გრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრა და მის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისთვის შეამზადა. მისი ყოველი თამაში შეიძლება შეფასდეს როგორც ბრძოლა ერის თვითდამკვიდრებისა და თავისუფლებისათვის. ამით კი ყიფიანის ფენომენი საგრძნობლად გასცდა დიდი ფეხბურთელისა და თუნდაც დიდი სპორტსმენის რანგს და მიიღო ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი რაინდის ტიტული. მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ შეძრა და დაამწუხრა მთელი ქვეყანა, თუმცა გარდაცვალების შემდეგ მის ხსოვნას რატომღაც შესაფერისი პატივი არ მიეგო. თავისი ცხოვრებითა და ქარიზმით დავით ყიფიანი ეროვნული მოღვაწე იყო და დაკრძალვას დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ნამდვილად იმსახურებდა. ასე, რომ, ჩემი აზრით, ქვეყანა ვალშია დიდი ქართველის, დავით ყიფიანის ხსოვნის წინაშე.

დედამიწის ზურგზე უკლებლივ ყველა ერი, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მისი სულიერი ღირებულებებიდან გამომდინარე, თანდათანობით ქმნის მისთვის დამახასიათებელ უკვდავ კულტურულ მემკვიდრეობას, რაც მსოფლიოს ხალხთა სულიერ და მატერიალურ საგანძურში სხვადასხვა საოცრებების სახითაა შესული, იგი ამით ამტკიცებს თავის იდენტურობას და შინ თუ გარეთ სამართლიანად იწონებს თავს. გამონაკლისი არც ქართველები ვართ. ჩვენი ანბანისა და ეკლესია-მონასტრების, პოლიფონიური მუსიკისა და ხალხური ცეკვების პატრონს საამაყო მართლაც რომ ბევრი გვაქვს. სპეციალისტების აზრით ქართული ხალხური ცეკვა მსოფლიო მასშტაბის უნიკალური მოვლენაა და შეუდარებელი, როგორც გამომსახველობით-პლასტიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, მასზე უკეთესი ღრმაზრობრივი სანახაობა არც ქართველებს და არც სხვა ხალხებს არასდროს შეუქმნიათ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი პირველსაწყისი ფორმით, იგი ნამდვილად ვერ იქნებოდა იმ დონის, რაც განსაკუთრებით ბოლო საუკუნეებში მრავალი თაობის გამოჩენილი ქორეოგრაფების მიერ მისი დახვეწა-განვითარების შედეგად არის მიღებული. უდაოა, რომ ამ საქმეში უპირველესია ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის, ამ ორი ვირტუოზი მოცეკვავის და ქორეოგრაფის დამსახურება. მათ ცეკვა „გაწმინდეს“ უცხო მინარევებისაგან, რაც ბუნებრივია, საუკუნეების განმავლობაში შეიძინა ამ ფენომენმა, ამასთანავე შეავსეს ახალი ქართული ელემენტებით, რაც ქართული სულის ბუნებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში თვითონვე გამოიგონეს თავიანთი გენიალური ნიჭის წყალობით, აღზარდეს პროფესიონალი მოცეკვავეები და ქორეოგრაფთა მთელი თაობები, ჩამოაყალიბეს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, გაიტანეს იგი მსოფლიო არენაზე. ერთი სიტყვით, ქართული ხალხური ცეკვა ახალ თვალშეუდგამ სიმაღლეზე აიყვანეს, რაც მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

თუ ქვეყანაში ჩამოსული საპატიო სტუმრისთვის უპირველესი სანახავი ქართული ხალხური ცეკვაა, რატომ არ უნდა იყოს ასევე უპირველესი სანახავი მთაწმინდაზე ასული ამავე სტუმრისთვის ამ გენიოსი ტანდების საფლავი? ვფიქრობ, ქვეყანა ვალშია მათი ხსოვნის წინაშე.

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, რომ მსოფლიო დონის მიღწევები გვაქვს კულტურის სხვადასხვა დარგებში, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს სიტყვაკაზმულ ქართულ მწერლობაში მივაღწიეთ, რომლის ბევრი წარმომადგენელი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის მშვენებას წარმოადგენს. უდიდეს ქართველ მწერალთაგან შემოქმედებითი სიღრმით გამორჩეული ადგილი კონსტანტინე გამსახურდიას უკავია, რომელმაც თავის შემოქმედებაში გაამთლიანა მითოსი, ისტორია და თანამედროვეობა. სწორედ მის მიერ აღწერილი ძველი საქართველო არსებობს ჩვენს შემეცნებაში და სწორედ ის იმდენად მყარია, რომ არავითარ აღმოჩენებსა და ცვლილებებს არ ექვემდებარება. დროის წარმავლობაში იცვლება ადამიანის ფსიქიკა, იცვლება თაობათა გემოვნება, მაგრამ სიტყვის დიდოსტატის მიერ დახატული ისტორიული თუ თანამედროვე პერსონაჟებისა და მათი ამაღლებული სიყვარულისადმი ინტერესი, არ იცვლება. თავისი შემოქმედებითა და მიღწევებით ის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის გვერდით დგას და მათ დარად უდაოდ დიდი შემოქმედია, რომლისთვისაც საუკუნეების გასვლა მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავს. დიდი შემოქმედის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი გადის ოჯახის საკუთრებიდან და მთელი ერის კუთვნილება ხდება (რაც არ ნიშნავს მის მემკვიდრეობაზე შთამომავლობის უფლების დაკარგვას).

კონსტანტინე გამსახურდიამ, ალბათ დროის კონიუქტურით–კომუნისტების ზეობის გამო არ ისურვა სამუდამო განსასვენებელი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში ეპოვა და ანდერძით კოლხურ კოშკში დაკრძალვა დაიბარა, რაც აღუსრულეს კიდეც. დღეს დროის მოთხოვნაა, ქართველმა ხალხმა ქართული მწერლობის ამაგდარს სამუდამო ბინა მთაწმინდაზე მიუჩინოს, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივითა და კურთხევით დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის შემთხვევაში მოხდა, რომელიც ანდერძის თანახმად „მზიურში“ იყო დაკრძალული და მთაწმინდაზე გადაასვენეს.

ზურაბ ბუკია.

ს პ ო რ ტ ი

ედუარდ კვიციანის ხსოვნას მიეძღვნა

ზუგდიდის ინგურ-ქაღალდ კომბინატის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ედუარდ (ვასო) კვიციანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა სამბოში 1998-2000 და 2001-2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

ტურნირში განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭიდაობა სამბოს ჯგუფი (მწვრთნელ-მასწავლებელი რ. მორგოშია) 12 მოსწავლით მონაწილეობდა. სარეიტინგო შედეგები ასეთია:

1. თემურ მიქაბერიძე -60 კგ წონითი კატეგორია–I ადგილი მოიპოვა;
2. გიორგი ბახტაძე-50 კგ წონითი კატეგორიაში–II ადგილი დაიმსახურა;
3. გიგა ჯაჯავა-75 კგ წონითი კატეგორია–II ადგილი გაინაღდა;
4. გიორგი ზარანდიას 32 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი ერგო;
5. კახა ჯანჯღავამ 85 კგ წონითი კატეგორიაში ასევე III ადგილი ერგო;
6. გიორგი ჩაჩიბაიას 29 კგ წონითი კატეგორია ასევე III ადგილი ხვდა წილად;
7. ალექსი გოგუა მძიმე წონა-III ადგილის მფლობელი გახდა.

ევროპის ჩემპიონატის ხობელი ბრინჯაოს მედალოსანი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილეებმა: მახარე ჩოკორაიამ და ედიშერ ჯობავამ, ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მფლობელ ნუგზარ წურწუმიას უმასპინძლეს და გამარჯვება მიულოცეს.

ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბულგარეთის ქ. სამოკოვოში ჩატარდა, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა. ქართველმა ნორჩმა მოჭიდავეებმა 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალის მფლობელი გახდა ხობელი ნუგზარ წურწუმია (42 კგ წონითი კატეგორია). ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმატებები უსურვეს ჩემპიონს.

მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში სტარტი აიღო

24 აპრილს სტარტი აიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში, რომელშიც 22 თემისა და სოფლის გუნდი იღებს მონაწილეობას. ტურნირი ტარდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით. თამაშები მიმდინარეობს შუა ხორგის, ხეთის, საჯიჯაოსა და ხობის სპორტულ მოედნებზე. ფინალური მატჩი გაიმართება 26 მაისს ხობის ცენტრალურ სტადიონზე.

რიგით მეორე ფესტივალი რაგბში

ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა დასავლეთ საქართველოს 2002-2003 წლებში დაბადებულ მორაგბეთა ფესტივალი.

ფესტივალს კოორდინაციას უწევდა საქართველოს რაგბის კავშირის დასავლეთ საქართველოს კოორდინატორი იოსებ დიაკონიძე. ფესტივალში მონაწილეობდა 14 ქალაქის 18 გუნდი (ქუთაისი, ბათუმი, მარტვილი, სენაკი, საჩხერე, წყალტუბო, ვანი, ფოთის, ხობი, ბაღდათი, ჩოხატაური, ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ და ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" დირექტორმა ხათუნა ხორავამ ნორჩი მორაგბეები ფესტივალში წარმატებით მონაწილეობისთვის სიგელებით დააჯილდოეს.

თეიმურაზ კვიკვინია საქართველოს ჩემპიონია

ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშია, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები, რომელიც ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის, თვითკრიტიკის განვითარებას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას. ჭადრაკის თამაშში მკაფიოდ ვლინდება პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებანი.

ნორჩ მოჭადრაკეებს, დაძმა თეიმურაზ და ანა კვიკვინიებს აქვთ ის შინაგანი ენერგია, შეუპოვრობა და გამბედაობა, რაც უნდა ახასიათებდეს მოჭადრაკეს. დღეს ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლას ორი წარმატებული მოჭადრაკე ჰყავს.

მათ ჭადრაკის თამაში მამამ, კობა კვიკვინიამ ასწავლა, რის შემდეგაც მიიყვანა ბავშვები ხობში მწვრთნელ ირაკლი(მამუკა) გეთიასთან.

ანა ამჟამად ცხრა წლისაა, ის მეოთხე კლასის მოსწავლეა. შვიდი წლის ასაკიდან თამაშობს ჭადრაკს. 2014 წლის სამეგრელო- ზემო სვანეთის ჩემპიონი გახდა ათ წლამდე გოგონათა შორის, ხოლო ამავე წელს იგი თამაშობდა თორმეტ წლამდე გოგონათა შორის და რეგიონში დაიკავა მეორე ადგილი სწრაფ ჭადრაკში. ამავე დროს ანა წარმატებული მოსწავლეა. ხშირშემთხვევაში კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ის მიმდინარე სასწავლო წელს გახდა რესპუბლიკური ოლიმპიადა ,,კინგსის" ფინალისტი მათემატიკაში. ამ პატარა ლამაზ და ჰაეროვან გოგონას გააჩნია არაჩვეულებრივი ფანტაზიის უნარი, ხატავს, ფორტეპიანოზე უკრავს და მღერის კიდეც.

ანას ძმას, თეიმურაზს, აქვს ღვთის მიერ მომადლებული ნიჭი და ამ ნიჭს წარმატებით იყენებს... ოთხი წლისა იყო, როდესაც ჭადრაკში პირველი სვლები ისწავლა.

ამჟამად შვიდი წლისაა, მესამე კლასელია და იცის, როგორ გაანაწილოს დრო სწავლისა და ჭადრაკისთვის..მას უყვარს ფიქრი და აზროვნება, რაც ჭადრაკის თამაშისთვის აუცილებელია. თეიმურაზს არაერთხელ მიუღწევია გამარჯვებისთვის. ყოველი წარმატების მიღწევა ბრძოლაა პატარა მოჭადრაკისთვის. თეიმურაზს აქვს გამბედაობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნიჭი. გაიმარჯვო, ნიშნავს, გწამდეს, სწორედ, მას სწამს გამარჯვების და აღწევს კიდეც. 2012 წელს 5 წლის ასაკში რეგიონულ ჩემპიონატზე შვიდ წლამდე ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიმსახურა. 2013 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი შვიდ წლამდე ჭაბუკთა შორის, ფოთის ბავშვთა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის. ამავე წელს გახდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონი შვიდ და რვა წლამდე ჭაბუკთა შორის. 2014 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში რვა წლამდე ჭაბუკთა შორის.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზი 2013 წელს იყო ერთადერთი საქართველოს ჩემპიონი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან.

თემომ არაერთხელ დაიკავა მეოთხე -მეხუთე ადგილი ორი- სამი წლით უფროსებთან პაექრობაში. ის არამარტო ჭადრაკში, არამედ სასკოლო კონკურსებსა და ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეა... ოლიმპიადა ,,ლონდონსქულისა და ,,კინგსის" ფინალისტი და მესამე ხარისხის დიპლომანტია მათემატიკაში, ოლიმპიადა ,,ევერესტის" ფინალისტი ინგლისურ ენაში.

ამჟამად და-ძმა ზუგდიდელი მწვრთნელის, ბატონ გოჩა თორიას მეთვალყურეობით ემზადება საქართველოს ჩემპიონატებისთვის, ოქტომბის თვეში ბათუმში გასამართი ევროპის ბავშვთა ჩემპიონატისთვის.

ვუსურვოთ ანასა და თეიმურაზს წარმატებები...მომავალი მსოფლიო ჩემპიონობა, აღმასვლა და ღმერთთან მიახლოება. დაე მათ გააბრწყინონ საქართველო თავიანთი გამარჯვებებით!!!!

ქრისტესმიერი სიყვარულით
ნინელი (მზია) ხუხია.

სულთათვინა

ლამარა ბუსქანძე

ადამიანის ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი ქრება. ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი, მითუმეტეს ისეთ ღვაწლმოსილ პიროვნებას, როგორიც ქალბატონი ლამარა იყო. უკვე წარსულში ვსაუბრობთ მასზე. რამდენი თაობის აღზრდაში და ჩამოყალიბებაში მიუძღვის წვლილი. მისი ხელიდან გამოსულა არა ერთი ცნობილი სახე, რომლებსაც თავიანთი კაცობით, მაღალი პროფესიონალიზმით თუ გმირობის მაგალითებით უსახელებიათ საქართველო.

ლამარა ვლადიმიროვნა! ასე მიმართავდნენ მას. ეს იყო მაღალი ზნეობის მეტად დახვეწილი, ინტელექტუალური, საზოგადოებაში გამორჩეული, უნიჭიერესი პიროვნება, თავისი ეთიკური, ესთეტიკური შეხედულებებითა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით აღსავსე. მის გარშემო ყველაფერი სრულყოფილებას განიცდიდა, საოცარი სიმშვენიერის აღქმის უნარით, სიღრმისეული წვდომით, არავის პატიობდა ზედაპირულობას, როგორც სხვისგან, ისე საკუთარი თავისადმი იყო მომთხოვნი, მუდამ პროგრესული სულისკვეთებითა და შემართებით გამორჩეული.

მეზობლები დიდი პატივისცემითა და გულისტკივილით იგონებენ დღეს მას. რამდენი შრომისა და ამაგის გამღები, ფაქტიურად საცოდავად მიტოვებული დარჩა ბოლოს, სად გაქრა ის სიამაყე და სიმშვენიერე ყველას გვიკვირდა, იმდენად შეიცვალა. ვისაც ის არ ახსოვდა, როგორ უნდა აგვეხსნა. ღამეებს თეთრად ათენებდა ფიქრებში, ხანაც კროსვორდების ამოხსნაში, რამდენჯერ მინახავს დაბეჩავებული, თვალცრემლიანი, მარტოსული. მეტყოდა, „უფალს ვეხვეწები ამ ქვეყნიდან ჩემს გაყვანას და არ მივყავარო“, ყველაფერს თავისი დრო აქვს მეთქი... ნაღვლიანად შემომხედავდა. ყველას გული გვტკიოდა ლამარა ვლადიმიროვნა, მაგრამ შენთან მიმართებაში მაინც ნატო და მადონა გამოირჩეოდა, მათთან ეძებდი სითბოსა და ნუგეშს. ნუთუ ამდენად დიდ ადამიანს სულიერად მარტოობა და ყველასგან ეულად ყოფნა გარგუნა უზენაესმა. –თქვენ იცით ამ წუთისოფლიდან სამარცხვინოდ ნუ გამიშვებთო, სთხოვდი ინგას, შენ უნდა გამალამაზოო. ნუ ფიქრობ ვლადიმიროვნა ამაზე, გეტყოდნენ ხოლმე როცა ცუდად გახდი, ჯერ ირმამ წაგიყვანა, მერე კი თბილისში ძმისშვილ იკასთან აღესრულე ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათ დღეს. უფალმა გაგიხსნა სასუფევლის კარი შენს ლამაზ სულს რომ შეეღწია.

უამრავი თაობის აღმზრდელს, ამ წუთისოფელში ვალმოხდილს, სიკეთისა და სინათლის მარცვლის მთესველს, ღმერთმა, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ამინ!

ლალი ჭედია

გია კუტალია

„ხსოვნას შერჩება ათასში ერთი“

უკიდეგანო სევდა და ტკივილი ვიგრძენი გია შენი დაღუპვის ამბავის გაგებისას, რატომღაც ბოლო დროს სულ მახსენდებოდი, მიკვირდა, ღიმილიანი, სიცოცხლით სავსე, მუდამ პოზიტიური განწყობით რომ ვერ მხვდებოდი ქუჩაში. დრომ მოიტანა და კაცს იმდენი პირადი საზრუნავი გაუჩნდა, მეგონა, შენც ამ საზრუნავით იყავი დაკავებული... თურმე ავად ყოფილხარ...

გამახსენდა ჩვენი სტუდენტობის პერიოდი, გულწრფელი და წმინდა ურთიერთობები, ჩვენი საერთო ხობელობა. არაჩვეულებრივად ნიჭიერი სტუდენტი იყავი, სახელობითი სტიპენდიანტი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტი ჯარისკაცი გახდი და ორ-ორი დღით ჩამოსული აბარებდი სახელმწიფო გამოცდებს... მიუხედავად ამისა, იგი წითელ ლიპლომზე დაამთავრე. შენი სამეგობრო ფიქრობდა, რომ სამეცნიერო გზას გაყვებოდი, მაგრამ შენს მშობლიურ კუთხეში დაბრუნდი მეუღლესთან ერთად. ნანა კუკავასთან შექმნილი ოჯახი იყო შენი ცხოვრების აზრი, ხოლო ლაშა და რუსუდანი შენი ოცნების შვილები. შეხვედრისას, მოკითხვის შემდეგ უცებ თვალები აგიციმციმდებოდა და ლაშას წარმატებებზე იწყებდი საუბარს–რამდენი წიგნის ავტორი იყო, ამჟამად რაზე მუშაობდა, როგორ იწვევდნენ საზღვარგარეთ, ერთი სიტყვით, მათი ცხოვრებით ცხოვრობდი.

...გარდაცვალება გარდაუვალია, თუმცა ძნელად შესაგუებელი. ასეა შენს შემთხვევაში. სიკვდილი ახლოს მოვიდა ჩვენს სამეგობროში, შემოდგომის სუსხივით შემოაღწია ჩვენს გარშემო და შენით დაიწყო ფოთოლცვენა. უფლის ნებას წინ ვეღარავინ აღუდგება.

ვთხოვთ უფალს შენს კეთილ, უბოროტო სულს დაუმკვიდროს ბინა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ჩვენ კი აქედან ლოცვას და სანთლებს არ მოგაკლებთ. ამით უკვდავყოფთ შენს ხსოვნას ჩვენს გულებში, გჯეროდეს, მოგვენატრები.

მანანა შულაია.

ნაზი ბეჭვაია და გიგუშა იოსავა

გაზაფხულის შემობრძანება და თქვენს ხსოვნასთან დაკავშირებული ტკივილის გამძაფრება ერთია, საყვარელო დედა!

დედა, 10 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. უკვე მესამედ ვხვდებით ყველა ჩვენგანისათვის ძვირფას დღეს უშენოდ და მამის გარეშე. საზეიმო სუფრას ამ თარიღის აღსანიშნავად საგანგებოდ გიწყობდით ოჯახის თავკაცთან ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით შექმნილ ლამაზ ოჯახში.

შენი საფიცარი შვილი ბორისი რუსეთიდან ადრიანად ეშურებოდა ოდაბადეს, რათა ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, შვილის მხურვალე სითბო და სიყვარული შენთან ალერსში გამოეხატა, შენთვის ავადმყოფობით გამოწვეული მძიმე ტკივილი კოცნით დაეამებინა და მეუღლის გარდაცვალებით შექმნილი უზარმაზარი სიცარიელე ნაწილობრივ მაინც ამოევსო.

ჩვენო კარგო მშობლებო! თქვენს წალკოტადქცეულ კარ-მიდამოში გამეფებულ სიჩუმეს შვილიშვილების, შვილთაშვილების სტუმრობა არღვევს. მადლობა უფალს მათი სიმრავლისთვის, თქვენს შემდეგ დაფრთიანებულ დიანას, შორეულ ამერიკაში მყოფ თქვენს საფიცარ გიორგის ქალიშვილები შეეძინათ.

ჩვენი მამისეული სახლის მასპინძელი კი, უფროსი ვაჟი თენგიზია. მისი ხელშეწყობით კვლავ თქვენებური ჩვეული, გულუხვი პურმარილი ელოდება ჭიშკარში შემობრძანებულ სტუმარს.

ძვირფასო დედა! ჩვენს სევდას ამძაფრებს მამასთან თანაშეზრდილი, ყველასთვის საყვარელი მამანტი–კუზუ ბიძიას გარდაცვალება. შენი იმქვეყნიურ სასუფეველში გადაბრძანების შვიდი თვის შემდეგ, იქ გეახლათ, ვერ გაძლო უთქვენოდ.

ჩვენი გვარის და მთლიანად საქართველოს სახელოვანი გმირი, 2008 წლის ომს ზვარაკად შეწირული მიშიკო იოსავა თავის სანატრელ ბიძას, შემდეგ კი, სულ ახლახან გამზრდელი ბაბუას, ყველა ხობელისთვის საპატიო პიროვნებას, პანტე იოსავას იმ ქვეყნიურ სასუფეველში შებრძანებისას მეგზურობას უწევდა. ის ფიზიკურად ულამაზესი, სულიერად ძლიერი ვაჟკაცი იყო.

მიშიკო სიცოცხლეში ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. არც ის დაგაკლებთ ჩვეულ მოვლა-პატრონობას, რაც ჩვენთვის, შვილებისთვის ნუგეშისმომცემი გახლავთ.

თქვენს სამუდამო ადგილსამყოფელს, თქვენი ნაამაგარის ხელი ატყვია. ყვავილები და წმინდად დანთებული სანთლები არც არასოდეს მოგაკლდებათ. ოჯახის საზრუნავზე, შვილების და შვილიშვილების აღზრდაზე, შრომაში დალეულო საყვარელო დედ-მამავ! თქვენი საფიცარი ვაჟები თენგიზი და ბორისი, თავიანთი მემკვიდრეებით ჩვენი სახლის ფუძეს არასოდეს მოშლიან. გჯეროდეთ, გწამდეთ, მშვიდად განისვენეთ.

შვილები მარინა, ბორისი, თენგიზი იოსავები.

შოთა კონჯარია

უღვთო იყო შოთა კონჯარიას სიკვდილი. სიკეთითა და სიცოცხლით სავსე წავიდა ამ ქვეყნიდან. ძნელია შეეგუო მის არ ყოფნას, რადგანაც მას ყველგან იმედი და სიკეთე შეჰქონდა. თავად კი სიყვარულს იმსახურებდა, ჭირის გაზიარება და ლხინში განსაკუთრებული მოლხენა იცოდა.

გარეგნობაც გამორჩეული ჰქონდა, წარმოსადეგი, ძლიერი, მტკიცე სულის, ხავერდოვანი ხმას თითქოს სულიდან მომდინარეობდა. ვისაც ერთხელ მაინც მისი ჟრუანტელისმომგვრელი ხმა მოუსმენია, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მას. კაცს, რომელიც არასოდეს დაბნეულა ტაშით, არ მოხიბლულა საკუთარი თავით.

ულმობელია წელთა სრბოლა. ის სიხარულთან ერთად დიდ ტკივილსა და სინანულს იწვევს ხოლმე, მას ახლობელი ადამიანის დაღუპვით გამოწვეული ტკივილი ჰქვია.

სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი, მას გარდაცვალება ჰქვია, ბ-ნ შოთას ცხოვრებას მისმა გარდაცვალებამ დაადგა შარავნდედი, დაულეწა ხორცი, ძვალი და აღუზღვევა სული.

გვერდით მდგომს მაშინ აფასებ, როცა სიცოცხლე ჩაქრება და ხსოვნა აინთება. თუმცა ბატონ შოთას სიყვარული არსადროს არავისგან არ აკლდა.

სიმღერა ბავშვობიდან დაიწყო. სოფელ საჯიჯაოს ახსოვს მუდამ კარგ ხასიათზე, მუდამ სიმღერისთვის მზად მყოფი შოთა კონჯარია. ის იყო ჭეშმარიტი ქართველი–კოლხი ადამიანი პატიოსნების, სინდისიერების, ზნეობის მაგალითი და განსახიერება, მის სულში ჩქეფდა ქართული მოდგმის მამულიშვილობა.

19 წლიდან რაიონული ფოკლორული ანსამბლი „კოლხეთის“ წევრია. იყო რამდენიმე ფესტივალის მონაწილე. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

ბატონი შოთა იყო ერთგული მეგობარი, კარგი მეუღლე და მამა, კარგი ბაბუა. მაგრამ ყველაზე მეტად უერთგულა სიმღერას.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იცხოვრა ლამაზი ცხოვრებისათვის, მაგრამ ავადმყოფობამ სარეცელს მიაჯაჭვა, საოცარი მოთმინებით იტანდა ტკივილს, სულიერ სიმტკიცეს იჩენდა, რადგან სიცოცხლე სურდა.

წავიდა წყნარად ამ ქვეყნიდან, საბოლოოდ დაადგა გზა მართალს, ერთხელ არ ამოუკვნესია და ტკივილისგან დაღლილი და გვემული სხეული სამუდამოდ მოუსვენებია.

ბატონი შოთა არ იყო იმათ შორის, ვინც ბოროტებას ბოროტებით თრგუნავდა, ბოროტ სულშიაც სიკეთის მარცვალს ეძებდა და აღვივებდა, ჰქონდა განსაკუთრებული იუმორის გრძნობა. ასეთად დარჩება თითოეული ჩვენთაგანის გულში.

რა ულმობელი და მკაცრია წუთისოფელი. გვიმძიმს, მაგრამ გამოსამშვიდებლი სიტყვით გემშვიდობებით. მშვიდობით! ბატონო შოთა, თქვენ ხომ მარადისობაში გადასახლდით.

მეგობრები.

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირმა გაბუნიას დედის

მზია გვალია-გაბუნიას

გარდაცვალების გამო.

ქართული სიმღერა-სულისა და გონის მკურნალი

2001 წლის 18 მაისს, იუნესკომ (გაერთიანებული ერების, განათლების, კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ორგანიზაცია) ქართული ხალხური სიმღერა, კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძური, შედევრად აღიარა. ეს აღიარება ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ღირსეული წარმომჩენიც გახლავთ. იუნესკომ მუსიკალური ფოლკლორი შედევრად აღიარა და ამის პირველი მოწმე გახლდათ ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, რომელმაც საინტერესო კომენტარი დაურთო ჩვენდა საყურადღებოდ – „ამ საგანძურს უფრო მეტად უნდა მოვუფრთხილდეთ, მოვუაროთ და მომავალი თაობები უნდა დავაწაფოთ“. იმ ხანად იუნესკოს აღიარებამ ერი თუ ბერი, ქართული ხალხური სიმღერის ყველა მოყვარული აღაფრთოვანა და მათ შორის მუდამ სიახლის მაძიებელი, ხობელთა სასიქადულო შვილი გოდერძი ბუკია. ბატონმა გოდერძი ბუკიამ მეგობრებთან ერთად 2003 წელს დააფუძნა განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო ფონდი „ხობი“. ფონდმა არაერთ კეთილ საქმეს დაუდო სათავე. ფონდის წევრთა მუხლჩაუხრელი მუშაობით დაფუძნდა სამეგრელოსთვის უმნიშვნელოვანესი კულტურული საგანძურის პოპულარიზაციისთვის ფესტივალი. ასე დაიბადა „სიმღერა სამეგრელოზე“. ანუ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და სამართლიანად იქცა საერო–სახალხო დღესასწაულად. ამ კონცეფციის ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს: ანზორ ერქომაიშვილს, ალექსანდრე ბასილაიას, კუკური ჭოხონელიძეს, ემირ ბურჯანაძეს, გომარ სიხარულიძეს, ექსპოზიციის ავტორს საქართველოს დამსახურებულ მხატვარს სერგო კენჭაძეს, საფესტივალო გამოცემათა სულის ჩამდგმელსა და მთავარ რედაქტორს ვახტანგ როდონაიას, იდეის განმახორციელებელს ბატონ გოდერძი ბუკიას. მათი მეოხებით 2007 წლის 3 ივნისს ხობში გაიხსნა „ძუკულოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)“, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. გახსნას დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი, სასულიერო პირები, ცნობილი საოპერო მომღერლები პაატა ბურჭულაძე, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, მოსკოველი სცენის ოსტატები ელენე ობრაზცოვას ხელმძღვანელობით, მრავალი უცხოელი და სრულიად საქართველოდან ჩამოსული სტუმრები, რომლის მასპინძელი გახლდათ მუზეუმი და ხობელი საზოგადოება.

ახალი, მაგრამ საინტერესო მუზეუმია, „სამეგრელო“, სადაც წარმოდგენილია სამეგრელოს ისტორიული წარსულის ამსახველი მასალები, ამონარიდები ძველი ბერძნული მითებიდან, ლეგენდარული მისიონერთა შთაბეჭდილებები, ხალხური საკრავები. დიდი ადგილი აქვს დათმობილ ძუკუ ლოლუასა და მისი მოწაფეების–გამოჩენილ ლოტბარ-მომღერალთა შემოქმედების ამსახველ ფოტო-მასალებს. აქვეა დავანებული ნოკო ხურციას ყაბალახი, რომელიც მუზეუმს უძღვნა ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა. ცნობილი კოლექციონერის ზურაბ ჩიქოვანის საოჯახო კოლექციიდან მუზეუმში ბინა დაიდო არაერთმა საინტერესო, მათ შორის აფხაზი ლოტბარმომღერლის ასთამურ მარღანიას ფოტოსურათმა და XVIII საუკუნის საფრანგეთში დამზადებულმა ძველებურმა კლავესინმა. ექსპოზიციის ცენტრალურ ნაწილში მნახველის ყურადღებას იქცევს ფოტოტრიპტიქი, რომელიც მუზეუმის დაარსების მთავარ იდეას შეგვახსენებს. ტრიპტიქი ნამდვილი საოცრებაა, მისი იდეა ნასაზრდოებია იმ დაუღალავი ბრძოლით, რასაც ძუკუ ლოლუა ეწეოდა. საქართველოს ყველა კუთხის ცნობილი მომღერლები და ლოტბართა რესპუბლიკურ კონფერენციაზე მოსაწვევად. 2011 წელს მუზეუმში გაიხსნა მეოთხე დარბაზი მიძღვნილი ლეგენდარული გორდელას 50 წლისთავისადმი. ეს ის ანსამბლია რომელმაც 15 წელი იარსება და ქართველი მსმენელი ტრადიციული სიმღერა – გალობისაკენ მოაბრუნა და პირველმა გააცნო მსოფლიოს ეს განუმეორებელი, ხელთუქმნელი განძი. 2013 წელი ანსამბლ „მზიურის” დიდებისა და პატარებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფესტივალი იყო და მუზეუმში ბინა დაიდო ანსამბლის შესახებ გამოცემულმა ალმანახებმა.

მუზეუმი არამარტო ქართველთ საამო ჰანგის – ხალხური სიმღერისა და მათზე მოამაგეთა სავანეა, არამედ დიდი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია. ეს გახლავთ აფხაზთა და ქართველთა გულში გამავალი სხივი – სითბოთი გაჟღენთილი, გზა ერთმანეთთან მისასვლელი, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის დირექტორი.

მისი ხშირად მირთმევა რეკომენდირებულია ხანშიშესული ადამიანებისთვის, რომლებთაც გულ-სისხლძრღვთა დაავადებები აწუხებთ. დიეტოლოგები ამ პროდუქტს ხშირად რთავენ დიეტებში, რადგან 100 გრ. ბადრიჯანში მხოლოდ 37 კილოკალორიაა. ასევე რეკომენდირებულია მიიღონ ეს ბოსტნეული დიაბეტით დაავადებულებმა და ინსულტგადატანილმა ადამიანებმა. მასში არსებული ვიტამინი, ანუ ნიკოტინის მჟავა, დაეხმარებათ მწეველებს მოწევისთვის თავის დანებებაში.

ლი, ძუკუ ლოლუას, ასთამურ მარღანიას, კოტე ჩიკვატიას მიერ სიმღერით ნაგები ხიდი – ძუძუმტეებთან დამაკავშირებელი.

„ჩელა თუ ჩაკრულო, შენ ხარ ვენახი თუ მახა, ოდოია თუ ოჩეშხვეი, მირანგულა თუ ვარადო, ქართული ხმატკბილი სიმღერა იტევს საუკუნოვან ტრადიციებს, ხალხის ხმის დამახასიათებელ ტემბრსა თუ ჰარმონიას, ასევე ლოტბარ – მომღერალთა შემოქმედებითი ცხოვრების საინტერესო ინფორმაციულ მასალას. აქ დავანებული ქართული სიმღერა სულისა და გონის მკურნალია. ვგონებ, საინტერესოა ჩემო მკითხველო.

გთხოვთ, ეწვიოთ მუზეუმს, რათა გაიფართოოთ თვალსაწიერი, უფრო ჩაწვდეთ და გაიხსენოთ გულშიჩამწვდომი ქართული სიმღერის ისტორია.

გამონახეთ დრო!..

ნანა ჯალაღონია,

ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის დირექტორი.

განცხადება

ქ. ხობში გორგასლის №25-ში (მეორე ჭიხუ) იყიდება ორსართულიანი სახლი ხეხილის ბაღით (3000 კვმ.) და სახნავი მიწით (2000 კვ.მ.), გარდა სახლისა, ეზოში დგას დამხმარე ნაგებობები.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 790 70-61-08; 599 70-69-08

ნანი ქანთარია

ინტერნეტიდან

ნიორი და მისის სასარგებლო თვისებები

სანელებლების მეფედ აღიარებულ ნიორს შეუძლია შეცვალოს ბევრი წამალი, რომელსაც ზოგჯერ უკუჩვენებებიც აქვს. ნიორი შეიცავს ორგანიზმისთვისსაჭირო ნივთიერებებს: C,D და B ჯგუფის ვიტამინებს, იოდს, გოგირდს, რკინას, მთრიმლავ ნივთიერებებს და ორგანულ მჟავებს, აძლიერებს მადასა და კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცენტს, იმუნიტეტს, იცავს ადამიანს სეზონური დაავადებებისგან, კბილებსკარიესისა და ნადებისგან, აჯანსაღებს მინანქარს, ხელს უშლის ღრძილების ანთებასა და სისხლდენას, პაროდონტოზის განვითარებას. დაავადების გამომწვევი ბაქტერიებისგან პირის ღრუს გასაწმენდად სრულიად საკმარისია, 3-4 წუთი ერთი კბილი ნიორი ღეჭოთ.

ამერიკელი მედიკოსების მონაცემების თანახმად, ხახვისა და ნივრის ყოველდღიური მიღება ამცირებს პნევმონიის განვითრების რისკს გადატანილი გრიპის შემდეგ.

ხახვი და ნიორი აძლიერებენ ბავშის იმუნიტეტს, ამცირებენ ანთების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამის გარდა, ფიტოცინტები ასტიმულირებენ სისხლის წითელი უჯრედების გამომუშავებას, არეგულირებენ სისხლის განახლების პროცეს, ეს კი მატებს ორგანიზმს მდგრადობას ინფექციური და ვირუსული დაავადებების წინააღმდეგ.

ნივრის წვენი აფართოებს გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებს, აწესრიგებს გულის რიტმს, დიეტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, შველის თავის ტკივილს.

რაზომ უნდა მიირთვან ხანშიშესულმა ადამიანებმა მეტი ბადრიჯანი?

ბადრიჯანი ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია. მიუხედავად იმისა, რომ დაბალკალორიულია, შეიცავს უამრავ მინერალსა და ვიტმინს, როგორებიცაა კალიუმი, რკინა, კალციუმი, ნატრიუმი, ფოსფორი, B, C, PP ვიტამინები. ის ჩვენში საკმაოდ პოპულარული პროდუქტია, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი სასარგებლო თვისებების შესახებ.

ბადრიჯანში შემავალ ბალასტურ ნივთიერებებს ნებისმიერ წამალზე უკეთ გამოჰყავს ორგანიზმიდან ქოლესტერინი. ამიტომაც ბადრიჯანი საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა ათეროსკლეროზის, გულის იშემიური და სხვა დაავადებების წინააღმდეგ, რომელთა განვითარების მიზეზი ხშირად ჭარბი ქოლესტერინია.

მისი უჯრედისი ასტიმულირებს ნაწლავების მუშაობას, აფერხებს ჩირქოვანი პროცესების განვითარებას.

მასში დიდი რაოდენობითაა რკინა, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას და სასარგებლოა ფეხმძიმობისა და სისხლნაკლებობის დროს.

კალიუმი აწესრიგებს გულის მუშაობას, წყალ-მარილოვან ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმში მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებას.

ბადრიჯანში გარკვეული რაოდენობით C ვიტამინიცაა, რომელიც იცავს ორგანიზმს გაციებისა და ინფექციებისგან. მასში არსებული ვიტამინი ამაგრებს ნერვულ სისტემას, ებრძვის დეპრესიას და უძილობას.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:

თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.